[illegible] ყველა ქვეყნების მუშებო [illegible]

პროლეტარები ყველა

ფასი 5000 მანეთი

# ქომუნისტი

ს. კ. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა [illegible] ტელეფონები: [illegible] კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 68 კვირა, 26 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 26 მარტი 1922 წ. № 68

## ორშაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თათბირი რაიონული კომიტეტების და სამხედრო ორგანიზაციების

შეერთებულ მუშაობის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ლისოვსკი, ნიკოლოზ ოკუჯავა, კვირკველია, გოლცბაუში და ფედმანი.

თბილ. კომიტეტის მდივნის მაგიერ ჯორბენაძე.

(3—3)

## ორშაბათს, 27 მარტს, დღის 1 საათზე

შესდგება

## თ ა თ ბ ი რ ი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებისა რაიონულ კომიტეტების მდივნებთან და ორგანიზატორებთან ერთად, რომლებიც განაგებენ საგიტაციო მუშაობას.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა, რადგანაც დღის წეს-რიგში დგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ ჯორბენაძე.

(2—2)

## კვირას, ამა წლის 26 მარტს,

დღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თათბირი რკინის გზაზე პარტიული მუშაობის შესახებ

თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ამხ.: გოლდბაუმი, მაშკევიჩი, კაკაბაძე, დიკი, მორჩილაძე, ვლადიმერ ქავთარაძე, კობახიძე და პროფკავშირთა საბჭოს და კავკასიის საოლქო კომიტეტის სატრანსპორტო ქვეგანყოფილების წარმომადგენელნი.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ ჯორბენაძე.

(2—2)

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა საოლ. და სამაზ. კომიტეტებს

ცირკულიარულად № 122

სასწრაფოდ

### ძვირფასო ამხანაგებო!

შარშანდელმა მოუსავლობამ დაგვაყენა შიმშილის მრისხანე ლანდის წინ. შიმშილი გვემუქრის მომავალ წლებშიაც. ჩვენს შიმშილზე ნადირობ გამართვას აპირებენ ჩვენი შინაგანი და გარეგანი მტრები. ამიტომ ჩვენი პარტიის წინაშე მდგარ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა დახსნა იმ საშინელ ტანჯვისა და წამებისგან, რომელთაც ემუქრება მათ შიმშილის გაძვალტყავებული ხელი. შიმშილთან საბრძოლველად დაარსებულია ცენტრსა და ადგილებში დამშეულთა დამხმარე კომიტეტები, რომლებიც თქვენის აქტიური დახმარებით ენერგიულად მუშაობენ და სხვა და სხვა შეწირულებას ჰკრებენ. მაგრამ ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ სულაც არ ამოიწურება მხოლოდ შემოწირულებათა მოკრებით, რომელიც დამყარებულია მოქალაქეთა გულკეთილობაზე. საჭიროა უფრო რადიკალური ზომები და მათგან ერთს, ყველაზე უმთავრესს, წარმოადგენს ადრეული დათესვა ყველა თავისუფალ, უკანასკნელ ნაგლეჯ მიწისაც კი. ამიტომ ამ ჟამად, როდესაც დადგა გაზაფხულის თესვის დრო, შიმშილთან ბრძოლის ამოცანა წარმოადგენს ჩვენთვის პირველ რიგის დამკრავ ამოცანას. ამისდა მიხედვით, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინა გამოაცხადოს აპრილის თვე—თესვის თვედ, წითელი გუთნის, წითელი ხახვნელის თვედ**, და რეალურ შედეგების მისაღწევად მიღებულ იქნას შემდეგი კონკრეტიული ზომები:

1) აპრილიდან დაწყებულ იქნას ფართე აგიტაცია გლეხების ჩასაგონებლად, რომ საჭიროა ადრეული დათესვა და ერთმანეთის დახმარება ცოცხალ და მკვდარ ინვენტარით, რისთვისაც მაზრებში უნდა გაიგზავნოს თითო პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლებიც დაჰყოფენ იქ არა ნაკლებ ერთი კვირისა.

2) კომუნალურ მეურნ. ® ეკონომიურ განყოფილებების ყველა სახელოსნოები მაზრებში უნდა გამოყენებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად—ღარიბებს უფასოდ, დანარჩენებს ზომიერ ფასად.

3. ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც აქვთ მთავრობის საწყობებში, უნდა გაიგზავნოს მაზრებში.

4) ს. მ. უ. ს. უნდა გადასცეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმასა სოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად რესპუბლიკის ანგარიშში 500 ფუთი რკინა და 100 ფუთი ფოლადი.

5) თესვის ცენტრალურმა კომისიამ უნდა მიიღოს რაც კი შეიძლება ენერგიული ზომები მაზრების დასათეს მასალით მოსამარაგებლად.

6) აპრილში მოკრებილი სასურსათო გადასახადის 20 პროცენტი დატოვებულ იქმნას ადგილებზე (თემებში) თესვის საჭიროებისათვის.

7) სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა წინადადება მისცეს შინაგან საქმეთა კომისარიატს, რომ მან უბრძანოს ყველა სამაზრო აღმასკომებს—მიიღონ რაც კი შეიძლება ენერგიული ზომები, აიძულოს კიდეც ზარმაცები, რომ გლეხები აპრილიდან შეუდგნენ თესვას და გაძლიერებით განაგრძონ თესვა აპრილის გასვლამდე, როდესაც უნდა დაამთავრონ ეს საქმე.

8) ყველა რედაქციებმა მთელი თვის განმავლობაში უნდა აწარმოონ **ამ მიმართულებით** რაც კი შეიძლება ფართე აგიტაცია და განსაკუთრებულ გვერდზე მოათავსონ ცნობები თესვის მსვლელობაზე მაზრებში.

9) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დროგამოშვებით უნდა გამოსცეს შესაფერი ფურცლები და პლაკატები.

10) გამოცხადდეს მაზრებში, რომ სპეციალური დღეები მოეწყობა ღარიბებისა, ქვრივებისა, ობლებისა და წითელ არმიელების საშველად. ამის მაგალითი უნდა უჩვენონ კომუნისტებმა.

11) სამაზრო კომიტეტებმა ყველა უქმე და კვირა დღეები უნდა გამოიყენონ თესვის სასარგებლოდ აგიტაციისთვის, გამართონ საზოგადო და წრეების კრებები და ყოველ კვირა გამოგზავნონ ცნობები თესვის მსვლელობაზე.

12) გადადებულ იქნას ამ კამპანიის ჩასატარებლად 300 მილიონი მანეთი.

13) გაიხსნას სამეგრელოს და აბხაზეთის საზღვრები ხორბლის გადასაცვლელად დასათეს სიმინდზე სათანადო მოწმობების თანახმად.

წინადადება ეძლევა ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს ამ ცირკულიარის მიღების უმალ, შეუდგნენ სამზადის მუშაობას კამპანიის ჩასატარებლად, რისთვისაც პირველ დღედ უნდა დაინიშნოს **კვირა 2 აპრილი**. ეს დღე, როგორც კვირა დღე, უნდა რაც კი შეიძლება მეტად გამოყენებულ იქნას მასიურ კრებების და აგიტაციის მოსაწყობად ყველა რაიონებსა და თემებში. ცენტრიდან, მთელი თვის განმავლობაში და შემდეგაც მიიღებთ სათანადო ნივთიერ დახმარებას **„ყველაფერი თესვის კამპანიისთვის და ყველანი თესვის ფრონტზე"**.—ეს უნდა იყოს **პარტიის მებრძოლ ლოზუნგად მთელი აპრილის თვის განმავლობაში.**

კომუნისტური სალამით ც. კ. მდივანი **მამულია.**

## რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობისათვის

ხვალ, 26 მარტს უნდა გაიხსნას რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-11 ყრილობა. დღის წესრიგი ჯერ შემდეგია: 1) ც. კ. პოლიტიკური ანგარიში; 2) ც. კ. ორგანიზაციული ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიების ანგარიში; 4) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში; 5) კომინტერნის ანგარიში; 6) პარტიის გაწმენდის და განმტკიცების შედეგები; 7) პროფკავშირები; 8) საფინანსო პოლიტიკა.

ზოგიერთი ამხანაგები ყრილობის ასეთი დღისწესრიგს არასრულად თვლიან და მოითხოვენ მის შევსებას. მაგალითად, ამხ. ე. პრეობრაჟენსკის საჭიროდ მიაჩნია დაისვას საკითხები ჩვენი პროგრამის გადასინჯვის, სამეურნეო აღმშენებლობისა და სხვა. ეს საკითხები, კერძოდ პირველი, უაღრესად პრინციპიალური ხასიათისაა და მას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. შესაძლებელია პროგრამის დამატებით ნაწილში დამატებულ იქნეს ძირითადი სახელმძღვანელო აზრები დღევანდელი სამეურნეო სისტემასა და მისი განვითარების აუცილებელი გზების და ფორმების შესახებ.

მეორე საკითხი, რომელიც პირველთან მჭიდროდაა დაკავშირებული—სამეურნეო აღმშენებლობის შედეგები და პერსპექტივები—პარტიის ყრილობის ავტორიტეტულ სიტყვას დიდი ფასი ექნება, გარდა საკითხის ნათლად ჩამოყალიბებისა, იმ მხრივაც, რომ ბოლოს მოუღებდა ამ სფეროში აზრების საქმისათვის მავნე ხეტიალს, რომლისთვისაც დღემდის ვერ დაუხწევიათ თავი ზოგიერთ ამხანაგებს.

შესაძლებელია ეს და სხვა საკითხებიც შეიტანოს ყრილობამ დღის წესრიგში და გახადოს თავის მსჯელობის საგნად.

თვით გამოქვეყნებული პროგრამა ყრილობისა ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება და ატარებს მეტწილად წმინდა საქმიან ხასიათს მათგან ამ ჟამად ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას სამ კითხვას: 1) პარტიის გაწმენდის და განმტკიცების შედეგები, 2) პროფკავშირები და 3) საფინანსო პოლიტიკა.

პირველი საკითხი, რომლის განხილვას წარსულ წლის დეკემბერში შემდგარ პარტიულ კონფერენციაზე მხოლოდ წინასწარი ხასიათი ჰქონდა, პარტიულ ყრილობაზე დაისმება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, როგორც გამოსავალი წერტილი, ჩვენი შემდგომი პარტიული ამოცანების გამოსამუშავებლად.

უნდა ითქვას, რომ პარტიულ რიგებში ყველაფერი წესზე არ არის. ეს უფრო ცხადყო რ. კ. პ. 22 წევრის ამასწინედ გაკეთებულმა განცხადებამ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე. განცხადების ეს 22 ავტორი ნაწილია იმ ამხანაგებისა, რომელნიც პარტიის მე-10 ყრილობაზე გამოვიდნენ ე. წ. მუშურ ოპოზიციის სახელით. მე-10 ყრილობამ ორ სპეციალურ დადგენილებაში („პარტიის ერთობის" და „სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში") დაგმო „ოპოზიციის" გამოსვლები და მოუწოდა მას პარტიული დისციპლინის დაცვისაკენ. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის ნაწილი არ დამცხრალა და შემდეგშიაც ილაშქრებს პარტიაში ვითომდა არსებულ აუტანელ და მიუღებელ წესების და ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ, და ამით ხელს უწყობს პარტიის რღვევას. ამას მოწმობს ზემოდ ხსენებული განცხადება, რომლის შესახებ ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ საგანგებოდ. ეხლა კი აღვნიშნეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ პარტიის სიმტკიცის და მთლიანობის საქმეს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს და ამას პარტიული ყრილობა ეჭვი არ არი სათანადო ანგარიშს გაუწევს. არასოდეს არ ყოფილა ეს მთლიანობა და რიგების შემჭიდროება ისე საჭირო, როგორც დღეს, როცა წვრილ ბურჟუაზიული სტიქია გვემუქრება. პარტიული ყრილობა იტყვის ამ სფეროში თავის ავტორიტეტულ სიტყვას, გამოიმუშავებს საშუალებებს პარტიულ მთლიანობა—სიმტკიცისათვის, ხოლო დამრღვევ ელემენტებს უჩვენებს ადგილს, რომელიც უფრო შესაფერისი იქნება მათი პსიქოლოგიისა, აზროვნებისა და მოქმედებისათვის.

რაც შეეხება პროფკავშირების საკითხს, ის სისწორით და გარკვევით გადაჭრილია რ. კ. პ. ც. კ. უკანასკნელ დადგენილებაში, რომელიც ჩვენს გაზეთშიც იყო მოთავსებული (იხ. №№ 29, 30). რანაირია პროფკავშირების როლი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში? ერთი მხრივ არსებობს საბჭოთა მეურნეობა, მეორე მხრივ დაშვებულია კერძო კაპიტალისტური წარმოება განსაზღვრულ ფარგლებში. პროფკავშირების დამოკიდებულება ამ ორი სახის მეურნეობისადმი არ შეიძლება ერთნაირი იყოს. პროფკავშირების დამოკიდებულებას და შესაძლებელ კონფლიქტებს კერძო წარმოებასთან აქვს ხასიათი ეკონომიურ-კლასობრივ ბრძოლისა, რომლის უძლიერეს იარაღს წარმოადგენს გაფიცვები. სულ სხვა პოზიცია უნდა დაიჭირონ პროფკავშირებმა სახელმწიფო წარმოებათა მიმართ

სახელმწიფო წარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით შრომის პირობების საკითხებში შესაძლებელ ერთგვარ წინააღმდეგობის აღმოცენების დროს პროფკავშირებს ევალებათ დაიცვან მუშათა ინტერესები, ხელი შეუწყონ მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა წარმოება და ობიექტიური პირობები. საბჭოთა წარმოების მმართველობასა და მუშებს შორის მომხდარ კონფლიქტებსა და გაუგებრობას შეიძლება მიეცეს მხოლოდ ტეხნიკური კვალიფიკაცია, და პროფკავშირები ამ შემთხვევაში ასრულებენ შუამავალის როლს.

მეორეს მხრივ პროფკავშირები წინანდებურად მონაწილეობენ სამეურნეო-სახელმწიფოებრივ ორგანოებში, აღგენენ თავიანთ კანდიდატებს საპასუხისმგებლო ადგილებისათვის, მონაწილეობენ სახელმწიფოს საგეგმო ორგანოებში, სამეურნეო გეგმების, წარმოების ® მუშათა ნივთიერ მომარაგების ფონდების დახარჯვის პროგრამის გამომუშავებაში და სხ. ამასთან ერთად პროფკავშირები ეწევიან კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას და საწარმოო პროპაგანდას და ამზადებენ მუშათა კლასის ფართე წრეებს სახელმწიფო აღმშენებლობაში შეგნებულ მონაწილეობისათვის.

პარტიული ყრილობა, აქ აღნიშნულ და სხვა საკითხებს პროფკავშირის შესახებ ფართეთ განიხილავს, დაადასტურებს ც. კომიტეტის ცნობილ დადგენილებას, უფრო განავითარებს და კონკრეტულ სახეს მისცემს მას და ამით სახელმძღვანელო გზას უჩვენებს პროფკავშირებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში მოღვაწეობისათვის.

ყრილობის დღის წეს-რიგში დასმულია აგრეთვე საკითხი საფინანსო პოლიტიკის შესახებ. ფინანსების გაჯანსაღება საერთოდ დაკავშირებულია ქვეყნის სამეურნეო აღორძინებასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. მაგრამ კერძოდ ფინანსების მოგვარების სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას, ერთი მხრივ, და გადასახადების გაძლიერებას, მეორე მხრივ. ხარჯების შემცირება შეიძლება მრავალრიცხოვან ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის გამარტივებით და სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპის უსასტიკესი დაცვით წარმოებაში. ამ ® სხ. ზოგიერთ ღონისძიებათა გატარებით (ვაჭრობის გაფართოება, კრედიტის ორგანიზაცია, სახელმწიფო წარმოებების და მამულების რაციონალური ექსპლოატაცია ® სხ.) ჩვენ შევსძლებთ ფინანსების თანდათანი გაჯანსაღებას. ყრილობისაგან ჩვენ მოველით სწორედ ისეთი ძირითადი გადაწყვეტილებებს, რომელნიც ფინანსების გაჯანსაღების საქმეს სწრაფი ნაბიჯით წასწევენ წინ და ჩვენ ფულს შესაფერს ძალას მოუპოვებენ, რაც საშური საქმეა, რაკი ჩვენ გადავდივართ ნატურალურიდან ფულის მეურნეობაზე.

ყრილობა გაარჩევს როგორც აქ აღნიშნულ, ისე სხვა საყურადღებო საკითხებს პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობისა, გამოიტანს მათ შესახებ თავის ავტორიტეტულ გადაწყვეტილებებს, რომელნიც განსაზღვრულ მიმართულებას მისცემენ ჩვენს მომავალ საქმიანობას. ამ მხრივ განუზომელი იქნება მისი მნიშვნელობა. მე-X ყრილობის შემდეგ, რომელთან დაკავშირებულია გრანდიოზული გარდატეხა ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში, განვლო ერთმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, საკმაოდ გამოჩნდა ახალი პოლიტიკის შედეგებიც. ყრილობა ყველაფერ ამას მოუყრის თავს, გაუკეთებს დასკვნას და ამის მიხედვით გამოიმუშავებს გზებს, რომელნიც უფრო მიზანშეწონილი იქნებიან პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად, მისი ეკონომიური სიმძლავრის შესაქმნელად და შრომის სუფევის დასამყარებლად.

გ. ქ.

## ბრძოლა შიმშილობასთან

**საორგანიზაციო ბიუროსაგან.**

საქართველოს დამშეულთა დამხმარე წარმ. მთავარ კომიტეტთან არსებულ საორგანიზ. ბიურო აცხადებს, რომ 27 მარტიდან კომიტეტის ბინის ვიტრინაზე და თბილისის სხვა რაიონებში გამოკრული იქნება პლაკატები იმ პირთა სიით, რომლებმაც ვაჭარ-მრეწველთა შორის შემოწირულება-შეგროვების დროს თავიანთ წვლილის გაღებაზე უარი განაცხადეს.

**საორგანიზაციო ბიურო.**

**შემოწირულებათა შეგროვება საქართველოს დამშეულთათვის, რომელიც უნდა გათავებულიყო 25 მარტს, გაგრძელებულია, რადგანაც ყველა ვაჭარ-მრეწველთა შემოვლა ამ მოკლე ხანში შეუძლებელი გახდა.**

**ორგანიზაციული ბიურო.**

**სენაკის მაზრა.**

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს მოუვიდა განცხადება **ექიმ ივანე ლორთქიფანიძიდან** სენაკის მაზრის სოფ. **მარნის** მდგომარეობის შესახებ. ვბეჭდავთ ამონაწერს: „ეს თემი ამ ჟამად იმდენად დაზარალებულია და განიცდის ისეთ შიმშილობას, რომ ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა შემთხვევას შიმშილისაგან ჭკუაზე შეშლისას. ხალხი აუტანელ მდგომარეობაშია, არ მოიძებნება არავითარი საზრდო და მით უმეტეს არც სათესი, ეხლა შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ თუ ეს დახმარება სასწრაფოდ არ იქმნა, თემს სრული განადგურება მოელის.

**ვინ არ სწირავს დამშეულთათვის.**

როგორც საზოგადოებამ იცის, ხუთშაბათს 23 მარტს, დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება საქართველოს დამშეულთათვის. მონაწილეობა მიიღო ფართე საზოგადოებამ და ბევრმა ვაჭარ-მრეწველმა.

ძნელი წარმოსადგენი იყო თუ ტფილისში მოიძებნებოდა ისეთი ვაჭრები, რომლებიც უარს იტყოდნენ შემოწირულებაზე. სამწუხაროდ ასეთები აღმოჩნდნენ. ჩვენ ვაცხადებთ მათ გვარებს:

1. **მამაჯანოვი ვარვარა.**
2. **კურულოვი ნიკოლოზი.**
3. **მანუკოვი მისაკა.**
4. **დანელიანცი სიმონ.**
5. **მელკუმიანცი სარქის.**
6. **ისრაელიანცი.**
7. **გოტოშია სევერი.**
8. **აბაბიევი ტატევა.**
9. **ათ. არჩვაძე.**
10. **კაზაკიანცი.**
11. **პანჩიკიძე ალექსი.**
12. **ხხირტლაძე გიორ. ზოგმა მათგანმა პირდაპირ უარი განაცხადა და ზოგმა კი დუქანი დაჰკეტა, დეე თვით საზოგადოებამ დააფასოს ამ ხალხის მოქმედება.**

**საორგანიზაციო ბიურო.**

## ადგილობრივი საბჭოები და შიმშილობასთან ბრძოლა

შარშანდელ ჯერ გვალვებისა და შემდეგ გამუდმებულ წვიმების გამო ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეს უკვე დაუდგა შიმშილობის შავი დღეები.

ამ საშინელ უბედურებამ რომ საგრძნობი ზიანი არ მოიტანოს და უკან არ დასწიოს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, საჭიროა მასთან ბრძოლა.

ისეთი ხასიათის მუშაობამ, როგორიცაა შემოწირულების შეგროვება, მდიდრების დამშეულთა სასარგებლოთ გადასახადით დაბეგვრა, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიდან განსაზღვრულ პროცენტების გადარიცხვა და სხვა, რასაკვირველია უნდა იწარმოოს, მაგრამ ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებასაც.

ცნობილია, რომ სპეკულიანტებისა და ჩარჩ-მევახშეების სეზონი მაშინ სდგება, როდესაც ხალხს გაჭირვება აქვს. სპეკულიანტი სოფლად იმდენათ მეტ მოგებას ნახულობს რამდენათ სოფელი მეტი გაჭირვებულია. ეს ასე იყო ყოველთვის, ეჭვი არაა, ასე იქნება ახლაც. რომ ძველი ამბები არ განმეორდეს და ხალხის სიმდიდრე და დოვლათი მუქთად არ ჩაიგდოს ხელში სპეკულიანტებმა, საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს იმ მხრივ, რომ ადგილებზე მომუშავე საბჭოებმა იკისრონ შუამავლის როლი მწარმოებლის ან საქონლის პირველ ხელსა და მომხმარებელს შუა. ჩვენ ვიცით, რომ დამშეულ რაიონებში სიმინდის მოსავალი თუ არა სამაგიეროთ ღვინის მოსავალი კარგი იყო. ვიცით ისიც, რომ დამშეულ რაიონებს სხვა რამეც მრავალი აქვს გასაყიდი და გასასაღებელი. მაგალითად ზოგიერთ დამშეულ კუთხეებში გარდა ღვინისა, მოიპოვება ბალღამი, ნაქსოვი, სანოვაგე და სხვა. ყოველივე ეს ძვირფასი საქონელია, კიდევ უფრო ძვირფასი ზოგიერთ შემთხვევაში ვიდრე პურია და რომ ის მხოლოდ ჩარჩებს არ ჩაუვარდეს ხელში და რომ მით მხოლოდ მათ არ ისარგებლონ, საჭიროა საბჭოებმა მიიღონ თავის თავზე ამ ზედმეტ პროდუქტების მოგროვებისა და საჭირო ადგილას მისი რეალიზაციის ინიციატივა. ეს მით უფრო ადვილია საბჭოებისათვის რომ თვით ხელისუფლებას უხდება ცენტრში ყველა ამ სანოვაგეების შესყიდვა და თუ ეს ორგანიზაცია მოეწყო, მაშინ ხელისუფლება იმ ფულით, რომლითაც ამაებს იძენს კერძო ბაზარზე, შეიძენს პურს და მიაწვდის დამშეულებს, რაც დიდ სამსახურს გაუწევს სოფლელებს და განთავისუფლებს ჩარჩ მევახშეების უზომო გაყვლეფისაგან. ცხადია სახელმწიფო არ ისარგებლებს დამშეულთა გაჭირვებით, პირიქით უფასოთ მოახმარს ამ საქმეს თავის აპარატს და პირველ ხელსა და მომხმარებელს შუა მდგარ, სამი-ოთხი მყვლეფელ შუამავლისაგან განთავისუფლებით, დამშეულს თავის საქონელში ორჯერ და სამჯერ მეტ საქონელს მისცემს, ვიდრე ჩარჩი.

შიმშილობის წინააღმდეგ ამ მხრივ ბრძოლისათვის უკვე სათანადო ყურადღება მიუპყრია ზემო იმერეთის დამშეულ სვირის რაიონის საბჭოს და წარმოუგზავნია ტფილისში ამ საქმისათვის სათანადო უწყებებთან მოსალაპარაკებლად ამ ჟამად აქ მცხოვრები დამსახურებული მწერალი დავით კლდიაშვილი, რომლისთვისაც დაუვალებიათ გარდა საერთო დახმარების გამოთხოვისა, ასეთი ხასიათის მოლაპარაკების წარმოება.

შიმშილობა უკვე დამდგარია და რომ მან ხელი არ შეუშალოს საგაზაფხულო მუშაობას და საერთოდ რომ არ დაშალოს სოფლის მეურნეობა, საჭიროა ამ მაგალითს სხვა საბჭოებიც მიბაძავდენ და ამ მხრივ დაუყონებლივ გააჩაღებდენ ენერგიულ მუშაობას. შიმშილობის კრიზისი უმთავრესად ამ ორ თვეში გაამწვავებს საქმეს. შემდეგ პურის ახალი მოსავლით მოგვეშველება და ამ ორ თვეში თავის გასატანათ ყოველი ღონე და ყოველი საშუალება უნდა იქმნას მიღებული.

გ. მეზუკე.

# მტრები ახმაურდნენ

გენუის კონფერენციის მოწვევის გარშემო ანტანტის მიერ დატრიალებულ საქმიანობაში ერთი რამ აშკარათ გამოირკვა; გამოირკვა რომ ანტანტა თავის ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან მტრულათ მყოფი, აღმოსავლეთისაკენ იყურება და მისი ექსპლოატაციის და ცარცვის გაძლიერებით ფიქრობს თავის შერყეულ მდგომარეობის აღდგენას.

მაგრამ მისდა საუბედუროთ აღმოსავლეთის ტერიტორიები უკვე დანაწილებულია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ დატაცებულია, აქ რუქების შეცვლა ახლა უომრათ და სისხლის დაუღვრელათ ერთობ ძნელი საქმეა და ისიც ვითომდა იოლ საქმეს კიდებს ხელს,—აღმოსავლეთის შესავალ კარებს და თავის მხრივ მდიდარ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს ეპოტინება.

ბოლოს გამოდის რომ ეს „მაღალი“ სამართლიანობის ხალხი, რუსეთის „აღდგენას“ იმით ფიქრობენ, რომ მას ჩამოაცალონ მის მოძმე ფედერაციაში მყოფ რესპუბლიკების ნავთი და შავი ქვა და მით მოუჭრან სასიცოცხლო ნერვი.

მისი ეს გარკვეული განზრახვა დღეს უკვე არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ ჟამად ჩვენთვის საგულისხმიეროა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ყოფილ მთავრობათა როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ ამ მიზნების განხორციელებაში. ეს ვაჟბატონები თუ აქ მეფობის ჟამს თავისი ქვეყნის მშრომელი ხალხის სისხლით და სიმდიდრით მორცხვათ ვაჭრობდენ და მეორე მხრივ თუ კაპიტალიზმს პატარა, ასე ვსთქვათ, მეორე ხარისხოვან თანამშრომლობას უწევდენ, ახლა, როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელ ხალხმა რუსეთის სახელოვან წითელ არმიის დახმარებით ისინი თავის ხაზეინებს მიუგდო, უკვე ბითუმათ და აშკარათ ვაჭრობენ, უკვე კაპიტალის პირველ ხარისხოვან და მთავარ ნოქრებათ გვევლინებიან და უსირცხვილოთ ეხმარებიან მათ ზემოდ ნახსენებ მსუნაგ საქმის განხორციელებაში.

კაპიტალმა კარგათ იცის თუ რა უბედურება მოუვა შინ უცხო ტერიტორიების „უცერემონიოთ“ დაპყრობისათვის და აი თავისი ქვეყნის მშრომელთა რისხვა რომ თავიდან აიცილოს, რომ მათ თვალები აუხვიოს და ამ მხრივ ზურგი გაიმაგროს, ის ამ საქმეში სამსახურში იყვანს აქ ბედნიერების დროს ერთმანეთის მჭამელს და უცხოეთში უბედურების დროს დაძმობილებულ ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკელებს, ადერბეიჯანელ მუსავატელების და მით ვითომდა „ადგილობრივი ძალებზე“ დაყრდნობით და „ადგილობრივი ძალების“ მოთხოვნით ეპირება ჩვენში შემოსვლას. მენშევიზმი და მისი მონათესავებიც იმდენათ დაეცენ და გათახსირდენ, რომ დიდი სიამოვნებით კისრულობენ ამ სამარცხვინო როლს, პირიქით სიხარულით ფეხზე არ სდგანან და ენერგიულ მუშაობას ეწევიან რომ ანტანტის, და კერძოთ საფრანგეთის, მცარცველ კაპიტალს ამიერ-კავკასიაში გზა გაუკაფონ და მათი ექსპლოატაციის და მცარცველობის დამყარებას ხელი შეუწყონ.

მენშევიზმი და სხვა ვაჟბატონები ჩვენ არც ისე ბეცებათ მიგვაჩნია, რომ არ იცოდენ რას აკეთებენ ამ შემთხვევაში, მათ იციან კარგათ: ამ ავანტიურას რომ ბედმა გაუღიმოს და გამარჯვებით დასრულდეს, რა შედეგები მოყვება ამიერ-კავკასიისთვის და საბჭოთა რუსეთისათვის, იციან რომ ეს საერთო ჯამში ხელს შეუწყობს რუსეთში ისეთი ხალხის გამეფებას, რომელიც ანტანტას არამც თუ ამიერ-კავკასიას დაუთმობს, არამედ ბოსფორ-დარდანელშიაც კი შეედავება, ხოლო საქართველოს ფაქტიურ კი არა ფიქტიურ დამოუკიდებლობასაც კი სახსენებლათაც არ დასტოვებს. თუ მიუხედავათ ამისა ისინი მაინც სჩადიან ამ მოღალატეობას და გამცემლობას, ეს იმიტომ, რომ ხალხის მტრების ბანაკში ერთხელ გადასულნი, შემდეგ უკან აღარ იხევენ და ყველგან და ყოველ პირობებში თავისი „ხაზეინის“ ერთგული რჩებიან.

მაგრამ დენიკინ-ვრანგელებზე იმედგაცრუებულ ანტანტას, აქ კიდევ უფრო უარესი საქმე დაემართება და ქართველი ხალხი თავისი ღირსეული პასუხით, რაშიაც ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი, კიდევ გაუცრუვებს იმედს: „ადგილობრივი ძალა“ მათ ტყვიას შეახვედრებს.

მტრები ხმაურობენ და ყოველ შემთხვევაში ქართველ მშრომელ ხალხს ფხიზლათ ყოფნა მართებს.

აქილეხი.

# წითელი პრესა

**პაციფიზმი თუ ცარცვა-გლეჯა.** მოსკოვის „პრავდა“-ში (12 მარტი) მოთავსებულია „გენუას კონფერენციის პერსპექტივების“ შესახებ წერილი „ისევ ის“-ის მიერ ხელმოწერილი, რომლის მოქნილ კალამში მკითხველი ადვილათ გამოიცნობს ავტორის ვინაობას. ის ეხება ევროპის ეკონომიურათ აღდგენის მიზნით საერთაშორისო კონსორციუმის მოწყობის საკითხს. როგორ სურს დაიწყოს მუშაობა ამ კონცორსიუმმა, რომლის დაარსება განძრახულია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, დანიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის და ჩეხო-სლოვაკიის კაპიტალისტების მონაწილეობით. ვოლფის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეთა ექსპერტები ერთხმათ მისულან იმ დასკვნამდე, რომ კონსორციუმი არაფერ საქმეს არ დაიკავებს არც ერთ მხარესთან, რომელიც არ იცნობს წინათ აღებულ ვალებს და ვალდებულებათ, რომელიც არ დააბრუნებს უცხოელთა სიმდიდრეს, არ აანაზღაურებს ზარალს, გამოწვეულს ქონებათა რეკვიზიციით და რომელსაც ამასთან ერთათ არ გააჩნია კანონები, დამცველი სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებების, რომელიც დაბოლოს არ უზრუნველჰყოფს ვაჭრობის ნორმალურ მიმდინარეობას.

„თუ მოკავშირეთა ექსპერტების ეს გადაწყვეტილება—ამბობს წერილის ავტორი—გამოხატავს მოკავშირე სახელმწიფოების აზრს, ამით ისინი საბოტაჟს უწყობენ გენუას კონფერენციას თვით მის მოწვევამდისაც. თუ ბატონი მოკავშირეები მოსთხოვენ საბჭოთა მთავრობას დენაციონალიზაციას მრეწველობისას, რომელიც წინეთ უცხოელებს ეკუთვნოდა, ისინი მიიღებენ პასუხათ: მობრძანდით და ძალით მიირთვით. თუ მათ სურთ შესდვან ზურგზე რუსეთს ვალების მთელი სიმძიმე, საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება უპასუხოს მათ: მობძანდით, ბატონებო, და სინჯეთ ამოქაჩოთ ეს ვალი; რუსი გლეხი გაგიმასპინძლდებათ თქვენ კეტით ხელში, წითელი არმია კი ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით. ის პირობები, რომელიც შეიმუშავეს კონსორციუმის ორგანიზატორებმა, ცინიკურათ სცვლიან კანნის პირობებს, რომელთა საფუძველზე იწვევენ გენუას კონფერენციას. საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს გადაჭრით და უორაზროვნოთ ამ პირობების მიღებაზე და მას მხარს დაუჭერს ამაში არა მარტო რუსეთის მშრომელი ხალხი, რომელიც, მიუხედავათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობისა, არ მოისურვებს დაასამაროს თავისი მომავალი, მაგრამ მას გაჰყვება საერთაშორისო მუშათა კლასი, რომელიც თავის ქვეყნებში თხოულობს მაღაროების და მთამადნების ნაციონალიზაციას და იბრძვის რკინის გზების დენაციონალიზაციის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობას მხარს დაუჭერს თვით ბურჟუაზიის ერთი ნაწილიც, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ცარცვა-გლეჯით არ შეიძლება ევროპის მეურნეობის აღდგენა. კონსორციუმის ორგანიზატორების მიერ შემუშავებული გეგმა უაზროა თვით ბურჟუაზიის, როგორც კლასის, თვალსაზრისითაც, რადგან რუსეთის მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის პირობებში დენაციონალიზაცია იქნებოდა მომასწავებელი მისი მთლათ დანგრევის. კაპიტალისტები მიიღებდნენ უბრალო ნაფჩხვენს, რომელსაც რუსეთიდან ვერც გაიტანებდნენ. ამიტომ მთელი ეს გეგმა შეიძლება არის მხოლოდ მუქარა საბჭოთა რუსეთის დასაშინებლათ, რათა აიძულონ ის იცნოს ყველა ვალები“.

**ლაქია მდიდრების და მცარცველი ღარიბების.** ლაპარაკია გერმანიის დღევანდელ მესვეურებზე. იმავე წერილის ავტორი ეხება იმ მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებდა საბჭოთა მთავრობისა გერმანიის ხელისუფალთა შორის ორი ქვეყნის ურთიერთობის დამოკიდებულების შესახებ. ის სწერს:

„გერმანიის მთავრობა არა თუ არ იღებდა საკმაო კეთილგანწყობილებით რუსეთის თვით ზომიერ მოთხოვნილებებსაც კი, არამედ თავის საგარეო საქმეთა მინისტრის სახით მან შექმნა ატმოსფერა, რომელიც გვაფიქრებიებს, რომ მოლაპარაკების დამაბრკოლებელი მიზეზი არის არა გერმანიის მატერიალურ საშუალებათა სისუსტე. საბჭოთა რუსეთს ყოველი საბუთი აქვს იფიქროს, რომ გერმანიას აიძულებენ არ აწარმოოს რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა. მაგრამ თუ ამის შესახებ შეიძლებოდა კიდევ რაიმე ეჭვი, მას ფანტავს ვოლფის სააგენტოს ტელეგრამა 28 თებერვლის თარიღით, რომელშიც მოთხრობილია კონსორციუმის შესახებ მოლაპარაკებაზე. იქ ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მტაცებლური პირობები, რომლებიც შეიმუშავა ამ კონსორციუმმა, მიღებულ იქნენ ერთხმათ ე. ი. გერმანიის წარმომადგენლების თანხმობითაც. ამნაირათ ჩვენ წინ არის ფაქტი იმის შესახებ, რომ ბატონი წარმომადგენლები ახალი გერმანიის დასთანხმდნენ კიდევ უფრო უსინდისო პოლიტიკაზე, ვინემ აწარმოებდნენ კაიზერის მთავრობის წარმომადგენლები ბრესტში რუსეთის მიმართ... ეს პოლიტიკა მით უფრო უსირცხვილოა, რომ იგივე წარმომადგენლები გერმანიის ბურჟუაზიის ვერ პოულობდნენ საკმაო სიტყვებს თავის ზნეობრივი აღშფოთების გამოსახატავათ, როდესაც გაზეთები ბეჭდავდენ ცნობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა მზათაა იცნოს ვერსალის ხელშეკრულება თუ საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს ამ ხელშეკრულების მე-116 მუხლის სისრულეში მოყვანას ე. ი. გერმანიის მიერ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მან მიაყენა რუსეთს. ჩვენ დავსცემდით საბჭოთა რუსეთის მორალურ პრესტიჟს, მონაწილეობა რომ მიგველო ამ ძარცვაგლეჯაში — ასე ამბობდენ ჩვენზე მაშინ გერმანიის დიპლომატები. დღეს კი თვით ისინი ჩადგენ მძარცველთა რიგებში“.

ყოველივე ეს და ცხადია გასაკვირი არ არის იმათი მხრით, რომლებიც აღზდილი არიან ძარცვა-გლეჯის და იმპერიალისტური ყაჩაღობის იდეოლოგიაში და ტრადიციაში.

„ჩვენ გვაკვირვებს — განაგრძობს „ავტორი“—არა ის, რომ ის ახლაც ისევე სიამოვნებით გაგვცარცვავდა, როგორც ომის დროს, ჩვენ გვაკვირვებს მხოლოთ ჭკუის სიდამბლე გერმანიის დიპლომატიის. რაზე ეწევა ის სპეკულიაციას? ეს სპეკულიაცია დაფუძნებულია ორნაირ ანგარიშზე: ჯერ ერთი ბურჟუაზიის ერთიან ფრონტზე, მეორეც იმაზე, რომ დღეს გერმანიის მარკის დაბალი კურსის დროს, გერმანიის ბურჟუაზიას შეუძლია გაიტანოს დასავლეთში, რამდენსაც ის მოამზადებს. მაგრამ ბურჟუაზიის ერთიანი ფრონტი—ეს მიფია: თუ საბჭოთა რუსეთი უარს იტყვის მიიღოს ყაჩაღური პირობები, კაპიტალისტური შაიკის წარმომადგენლები სახლის უკანა კარებიდან შემოძვრებიან რუსეთთან შესათანხმებლათ, რადგან ის მათ სჭირდება. გენუა არ არის უკანასკნელი სიტყვა ქვეყნიერების, და ხელშეკრულებებს, რომლებსაც ჩვენ ვერ დავსდებთ გენუამდი, დავსდებთ მის შემდეგ... ბატონი რატენაუს მთელი ამ ცულლუტობიდან, რომელიც (რატენაუ) იმდენათ ჭკუიანია და ცბიერი, რომ ალბათ თავის თავსაც მოატყუებს, ჩვენ ხელთ შეგვრჩება არსებითათ მხოლოთ გამოაშკარავება დღევანდელი გერმანიის პოლიტიკის ბუნებისა, რომელიც მაჩვენებელია მდიდართა მიმართ ლაქიაობის და ღარიბთა მძარცველობის“.

„როგორც ეს შეფერის გერმანიის მეცნიერებას, გერმანიის ექსპერტები სჩეკენ დღეს ევროპის სახსნელათ, მისი მეურნეობის აღსადგენათ ახალ გეგმებს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ თავი უნდა მოიჩვენონ დაბრმავებულებათ, რომლებმაც არ უნდა დაინახონ ვერსალის ხელშეკრულება. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში რომ გერმანიის ექსპერტები მივლენ გენუაში დატვირთულნი დიდი ყუთებით, რომლებიც ამოყრონჭვილი იქნებიან ძალიან ჭკუამახვილი მეცნიერული შრომებით და გეგმებით, მაგრამ რომლებსაც არ ექნებათ თვით იმ ქაღალდის ღირებულებაც კი, რომელზედაც იქნებიან ისინი დაბეჭდილი“.

**რუსეთისა და ევროპის მუშებმა და გლეხებმა მთელი სიმართლე უნდა გაიგონ.**

როგორ შეხვდებიან რუსეთისა და ევროპის მშრომელი მასსები იმ ყაჩაღურ გეგმებს, რომლის განხორციელება განძრახული აქვს ევროპის კაპიტალისტებს? რასაკვირველია უარყოფით და აღშფოთებით. მთელი სიმართლე იმ დამონების შესახებ, რომლითაც ემუქრებიან რუსეთს მისი მტრები მოახდენს რუსეთისა და ევროპის მშრომელი ხალხის მობილიზაციას საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, მის დასაცავათ და ეს არა მარტო სიმპატიის გამო, რომლითაც სარგებლობს ის ყველა ქვეყნის მასებში. საქმე მარტო ამ სიმპატიაში არ არის.

„საქმე—დაასკვნის ავტორი—საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებშია. ჩვენ ვეკითხებით მას: სურს თუ არა კაპიტალის ბატონობის სრული აღდგენა მთელ ევროპაში. ჩვენ ვეკითხებით დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიას, რომელიც მოითხოვს მაღაროების და მთა მადნების ნაციონალიზაციას, სურს თუ არა მას, რომ ეს მაღაროები და მადნები დაუბრუნდეს მათ ექსპლოატატორებს. ჩვენ ვეკითხებით გერმანიის მუშათა კლასს და თვით საზოგადოებრივ აზრსაც გერმანიისას სურთ თუ არა მათ, რომ ეს ქვეყანა, რომელიც უკავშირდება ფაქტიურათ ანტანტის ყაჩაღებს და ქირავდება მათ, შესძაგდეს მთელ რუსეთს. ჩვენ ერთი მომენტითაც ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ, როდესაც გენუაში საბჭოთა მთავრობა უარს განაცხადებს მსგავსი მტაცებლური პირობების მიღებაზე, მის მხარეზე იქნება თანაგრძნობა ყველა მუშების და თვით შორსმჭვრეტი ბურჟუაზიისაც. სამი წლის ნგრევის, ქაოსისა და ყაჩაღობის შემდეგ, რომელიც მოჰყვა დიდებულ ვერსალის ხელშეკრულებას, ევროპის უფართოეს წრეებს საყოფათ მოსწყინდათ პოლიტიკა მცარცველების, რომლებიც, სცდილობენ გაატყავონ მთელი ქვეყნიერება. თუ ეს მტაცებელი მხეცები იწვევენ მძულვარების გრძნობას, გერმანიის იმპერიალიზმის ფეხ მიმტვრეული მხეცი ჰბადებს ჩვენში მხოლოთ ზიზღს“.

* * *

**კომუნიზმის ზრდა გერმანიაში**

მიუხედავათ „მუდმივი დამარცხების“, რომელსაც, ჩვენი მტრების ცნობით განიცდიან კომუნისტები გერმანიაში, დაწყებული შარშანდელი მარტის გამოსვლებიდან **ფაქტები** ამ საკითხის შესახებ მოწმობენ სულ წინააღმდეგზე. საინტერესო ცნობები მოჰყავს ამის შესახებ გაზ. „ტრუდ“-ს ქ. ჰალლეს ცხოვრებიდან.

„ქ. ჰალლეში მიმდინარე არჩევნები პროფკავშირების გამგეობაში—სწერს გერმანიის კომპარტიის ცენტრ. ორგანო „დიროტე ფანე“ საიდანაც ეს ცნობა მოჰყავს „ტრუდ“-ს—მოწმობენ ფართო მასების გარევოლიუციონერებაზე და კომუნისტების გავლენის ზრდაზე პროფკავშირებში. 16 თებერვლისთვის ცნობილი იყო უკვე ასეთი შედეგები: **ხეზე მომუშავეთა შორის**—გამგეობა შესდგება მთლად კომუნისტებისაგან; ყველა ოთხივე წარმომადგენელი საკავშიროთაშორისო საბჭოში კომუნისტები არიან. **დურგლებში**—ყველა თერთმეტი წევრი ახალი გამგეობის კომუნისტები არიან, ყველა სამივე წევრი საკავშიროთაშორისო საბჭოშიც ისევ კომუნისტებია, ხოლო კავშირის წევრთა 80 პროც. შეადგენენ კომუნისტებს; **მშენებელ მუშათა შორის**—ერთი უპარტიოს გამოკლებით ყველა წევრები გამგეობის და საკავშიროთაშორისო საბჭოსიც კომუნისტებია. სხვა პარტიებს კანდიდატების სია სრულიადაც არ წამოუყენებია არჩევნების დროს; **ასოთ ამწყობებში**—გამგეობაში ყველა ხუთი წევრი კომუნისტები მოხვდნენ, საკავშიროთაშორისო საბჭოშიაც სამივე წევრი კომუნისტებია; **ქიმიკოსებში**—ყველა წევრები გამგეობის, რიცხვით ექვსი, კომუნისტებია რომლებიც გავიდნენ ხმის დიდი უმრავლესობით, იგივეა საბჭოშიაც; **უდის მკეთებელთა შორის**—გამგეობაში გავიდნენ: ორი კომუნისტი, ორი დამოუკიდებელი სოციალისტი, ერთიც უპარტიო, საკავშიროთაშორისო საბჭოში გაგზავნეს ერთი კომუნისტი და ერთი დამოუკიდებელი სოციალისტი; **ლითონზე მომუშავეთა შორის**—გამგეობაში შევიდნენ: ექვსი კომუნისტი, ორი დამოუკიდებელი სოციალისტი, ორი სოციალ-დემოკრატი. საკავშიროთაშორისო საბჭოს ექვსი წევრიდან სამი კომუნისტია. ხმების საერთო რიცხვი, რომლებიც მიიღეს დამოუკიდებელმა სოციალისტებმა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა უდრის ერთათ იმის ნახევარს, რაც მიიღეს მარტო კომუნისტებმა. ამნაირათ დამოუკიდებელი სოციალისტების და სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები შეყვანილ იქნენ საკავშიროთაშორისო გაერთიანებაში კომუნისტების თანხმობით. იმ ცნობების თანახმათ რომელიც გამოირკვა 16 თებერვლისთვის, მთელ რიგ სხვა კავშირებშიაც გავიდნენ კომუნისტები ამნაირათ ჰალლეს საკავშიროთაშორისო საბჭოში არჩეული არიან ორმოცდაათზე მეტი კომუნისტი, რაც ნახევარზე მეტს შეადგენს. აგრეთვე მანსფელდის რაიონის საკავშიროთაშორისო ორგანიზაციაშიაც კომუნისტების რიცხვი შეადგენს ოთხ მეხუთედს“.

ასეთია მუშაობის შედეგები გერმანიაში ჩვენი ძმური პარტიის, რომელსაც სისტემატიურათ „ამარცხებენ“ ჩვენი მტრები... თავიანთი გაზეთის ფურცლებზე, ჩვენ ვუსურვებთ ჩვენ გერმანელ ამხანაგებს, რომ ასეთი და კიდევ უფრო ჩქარის ტემპით წასულიყოს მათი „დამარცხება“ მომავალშიაც.

# წითელი რესპუბლიკები

## რუსეთი

**წერილი ვიქტორ ჩერნოვს**

**მოსკოვი**, 23 მარტი. რადიო. „პრავდაში“ დაბეჭდილია ესერი ლიდია კონოპლიოვას წერილი ჩერნოვისადმი, პასუხად მის წერილზე, რომელიც მოთავსებული იყო ესერების „გოლოს როსიიში“, და სადაც ჩერნოვი აღნიშნავდა ესერების ცენტრალურ კომიტეტის მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში პროლეტარიატის ბელადების მიმართ. აშკარად გიცხადებთ თქვენ, რომ, თქვენ სტყუით, შეგნებულად სტყუით—სწერს კონოპლიოვა და მოყავს ფაქტები: ესერების ცეკამ როდის და რაბინოვიჩის საშუალებით გადასცა კონოპლიოვას სანქცია ლენინის მოკვლის შესახებ წამოაყენა (გამოტოვებულია)... ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელად რიტოლსი (ცეკას სანქციით... ესერ სემიონოვის რაზმის მიერ მოკლულ იქნა ამხ. ვოლოდარსკი. ამხ. ლენინის და ტროცკის მოსაკლავად ესერების ცეკამ მისცა სანქცია და მოამარაგა კაპლანი მოწამლული ტყვიებით, რომელმაც გაუარა ლენინს ტანში. მოყავს რა საზიზღარ ექსპროპრიაციების ფაქტები, რომლებსაც სანქცია ეძლეოდა ესერების ცენტრალურ კომიტეტიდან, კონოპლიოვა ათავებს: მე ვიცი, რომ თქვენ დაგვიწყებთ გინებას და ფურთხებას. ეს თქვენი მეთოდია. წიგნები თქვენს ხელშია. სხვა დამამტკიცებელი საბუთების წამოყენება თქვენ მიერ შეუძლებელია.

**სრულიად უკრაინის სოფლის მეურნეობის კოოპერაციის ყრილობა.**

**მოსკოვი**. 24 მარტი. რადიო. ხარკოვში გაიხსნა სოფლის მეურნეობის კოოპერაციის სრულიად უკრაინის პირველი ყრილობა. უკრაინის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა მანუილსკი, რომელმაც მოუწოდა კოოპერატივის მუშაკებს ერთსულოვანი მუშაობისაკენ და დაპირდა, რომ საბჭოთა მთავრობა გააკეთებს ყველაფერს რაც კი შესაძლებელი იქნება სოფლის მეურნეობის კოოპერაციის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რათა მას საშუალება მიეცეს შეასრულოს მაზე დაკისრებული ამოცანების განხორციელება. მოხსენების შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, სადაც გამოთქმულია მადლობა მთავრობის მიმართ მისი ნდობის გამო გაერთიანებულ მშრომელ გლეხობისადმი, და სადაც იმედია გამოთქმული, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერაცია მოანდომებს მთელ თავის ძალღონეს სოფლის მეურნეობის ექსპლოატაციის ბატონობისაგან განთავისუფლებას. ვსცნობთ რა მთელ სიძნელეს, ნათქვამია რეზოლიუციაში, რომელიც შეგვხვდება ჩვენს მუშაობაში, ჩვენ ჩვენის მხრით გამოვსთქვამთ სურვილს, რომ მთავრობამ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკით რაც შეიძლება ადრე, მიაღწიოს მშვიდობიანობას, ურომლისოდაც ჩვენი მუშაობა იქნება უშედეგოთ. ყრილობა უძღვნის მხურვალე სალამს წითელ ჯარს, რომელიც ერთად ერთი უზრუნველყოფს სახელმწიფოს მშვიდობიანობას ყოველგვარ პეტლიურების, ვრანგელების და უკრაინის და რუსეთის სხვა კონტრ-რევოლიუციონერების თავდასხმისაგან.

**პარტიული კონფერენცია ბელორუსეთში.**

**მოსკოვი**, 24 მარტი. რადიო. მინსკში გაიხსნა ბელორუსეთის მეორე პარტიული კონფერენცია. რუსეთის კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო გამოვიდა კონფერენციაზე დიდი მოხსენებით ერთიანი პროლეტარულ ფრონტის შესახებ. პარტიული კონფერენცია მიმდინარეობს დიდის ენტუზიაზმით.

# საბჭოთა სომხეთში

ერევანი. 23 მარტი, (დეპეშა).

**მუშათა სახახლე.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოიტანეს რეზოლიუცია კომუნისტურ კლუბების შეერთების და ერთ მუშათა სასახლის შექმნის შესახებ.

**თესვის კვირა.** ზანიგბასარის რაიონში გამოაცხადეს თესვის კვირა, რომლის განმავლობაშიაც მობილიზაციას უზამენ მუშა ხელს, საქონელს და სასოფლო მეურნეობის იარაღებს. გლეხობა დიდი ენერგიით შეუდგა სარწყავი არხების გაწმენდას.

**შიმშილობა.** უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობათა მიხედვით დარალაგეზის რაიონში იმყოფება დამშეულები 12,000 მოზრდილი და 5,000 ბავშვი.

**სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სესია.** 19 მარტს ამხ. აზატიანის თავმჯდომარეობით მოხდა სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სესიის გახსნა. საგარეო საქმეთა კომისრის არავიანის მიერ ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, მოხსენების გაკეთების შემდეგ, სომხეთის აღმას-
რულებელმა კომიტეტმა დაამ
ხელშეკრულება [illegible]
ლი იყო 1921 წ. 13 ნოემბერ
ხეთის, საქართველოს და ა
ჯანის შორის ერთი მხრით და
მალეთისა მეორეთი.

**საქონლის გაცვლა.** სომხეთის
სურსათო კომისარიატის სახელ
თუმში მოვიდა 15 ვაგონი ფ
რომელიც დანიშნულია სათეს
ლაზე გადასაცვლელად.

**სამეურნეო ფრონტზე.** თე
ლის განმავლობაში სახალხო
ნეობის ტყავების პირველ სა
ხოში დაამუშავეს საქონელი
ბული 7,569 მან. ოქროთი.

**საზოგადოება „შინარარი“.**
ნანსთა კომისარმა წარუდგინა
ნომიურ თათბირს სავაჭრო-სას
მეურნეობის საზოგადოების „
რარ“-ის წესდების პროექტი.
ნომიურმა თათბირმა დაავალ
ნანსთა და სასურსათო კომ
განიხილონ და დაამტკიცონ წეს

**საგანგებო კომისიის ბრძა**
ერევნის გაზეთში „ხაჰ პრავ
დაბეჭდილია სომხეთის ს. ს. რ.
განგებო კომისიის შემდეგი ბრძ
1922 წ. 15 მარტის თარიღით.
ნასკნელ დღეებში სხვა და სხვა
ტიურისტები ავრცელებენ ფ
პროვოკაციულ ხმებს იმის შე
რომ ვითომ კომუნისტები მიდი
და მოდიოდნენ ინგლისელებით, ფ
გები, დაშნაკები და სხვა. ეს ბ
ტეის მიზნით მოგონილი პრო
ციაა, თუმცა სასაცილოა და ღ
მხოლოდ მარტო ზიზღისა,
იგი მაინც აღელვებს შეუგნ
მშვიდობიან მოსახლეობას; ამის
საგანგებო კომისია ყველას საყუ
ღებოდ აცხადებს რომ ისგავს
ვაკატორებს ის ექცევიან, როგ
კონტრრევოლიუციონერებს და
ჯებიან რევოლიუციონურ კანონ
მთელი სიმკაცრით თვით დახვრე
დი. საბჭოთა ხელისუფლება სომ
ში საკმაოდ ძლიერია, რომ და
ჩვენი ქვეყნის სიწყნარე და მშვ
ბიანი აღმშენებლობა. სომხეთის
განგებო კომისიის თავმჯდომ
ამირხანიანი, საერთო ადმინის
ტიულ ნაწილის გამგე აშრაფიან

**ფინანსთა კომისარიატის ანგარ**
გამოვიდა სომხეთის ს. ს. რ. ფი
თა კომისარიატის ანგარიში.
შეიცავს სომხეთის საფინანსო კ
მდებლობის და პროექტების მიმ
ლვას. ანგარიშში დიდი ადგილი
დათმობილი საკრედიტო აპერაც
სახელმწიფო ბანკის მუშაობას,
ხელმწიფო გეგმის კომისიას და
ციალურად ბიუჯეტის სფეროში
მუშევარს. ანგარიში წარმოად
ფინანსიურ პოლიტიკის სფეროში
ლების აღრიცხვის პირველ ცდას

**კერძო გამომცემლობა.** სახ
კომისართა საბჭომ გამოცა დეკ
რომლითაც კერძო პირებს, და
ბულებებს და ამხანაგობებს განა
ბის კომისარიატის თანხმობით
ეძლევათ გახსნან სტამბები, ლ
გრაფიები, ცინკოგრაფიები, როგ
კერძო ისე სახელმწიფო შეკვე
მიღების უფლებით. ზემო აღნიშ
დაწესებულებები თავისუფალი ა
რეკვიზიციისაგან.

**დახმარება დამშეულთ.** ერე
თესვის მთავარმა კომიტეტმა
მარტს მიიღო და დაურიგა სომხ
დამშეულებს 2550 ფუთი ფქვილ

# დამშეულთა რიცხვ

**მოსკოვი**, 12 მარტი. საბჭოთა
სეთში სულ შიმშილობს 17 გუ
ნია, ოლქები და ავტონომიური
პუბლიკები. დამშეულები ითვ
14 მილიონამდე. ეს ცნობები კ
არაა სრული. უმეტეს გუბერნი
ეს ციფრები ეკუთვნის დეკემბ
ამის გარდა საერთო რიცხვში
შედის დამშეულები უკრაინისა,
მიცის ოლქის, ყირიმის რესპუბლ
პერმის გუბერნიის.

ცალკე გუბერნიებში დამშეუ
ირიცხებიან შემდეგი რაოდენო
სამარის გუბერნიაში დამშეულ
2,482,254, მათ რიცხვში—1,123
ბავშვი, თათართა რესპუბლიკა
2.200.000, მათ რიცხვში 1.07
ბავშვი; სარატოვის გუბერნიაში
შეულია სულ 1.383,690, მათ რი
ში 488.128 ბავშვი; სიმბირსკის
ბერნიაში—1.364,831, მათ რიც
553,950 ბავშვი; ყირგიზის რეს
ლიკაში—1,309,540, მათ რიც
484,530 ბავშვი; უფის გუბერნია
1,217,685, მათ რიცხვში 5,29
ბავშვი; ბაშკირთა რესპუბლიკა
900,000, მათ შორის 350,000
შვი; ჩუვაშის ოლქში—773,142
რიცხვში 178,144, ბავშვი; ცა
ნის გუბერნიაში (დეკემბრის და
492,722, მათ რიცხვში 201
ბავშვი; ვიატკის გუბერნია
379,594, მათ რიცხვში 180,315
შვი; ნემეცთა ოლქში—254,525,
შორის 119,627 ბავშვი.

**რაში გამოიხატა დახმარება**
**მოსკოვი**. 12 მარტი. „ბედნო
იუწყება პირველ თებერვლამდე
ჭოთა სახელმწიფომ გასცა: ფულ
3,208 მილიარდი 891,172 მილ
მანეთი, პურათ—8,895,000 ფ

ცენტროკავშირმა მისცა პური 924,200 ფუთი. შეგროვილი შემოწირულებანი თებერვლამდე—პური 3 მილიონი ფუთი, სხვა 1,300,000 ფუთი; ფულად—84,602,961,736 მანეთი.

**უცხოეთის დახმარება.**

დამშეულთა დახმარების ამერიკის ადმინისტრაციამ იანვრის ბოლომდე გახსნა 7,450 სასადილო, რომლებშიაც კვებენ 1,200,000 დამშეულთ. სასადილოების უმეტესი ნაწილი გახსნილია თათართა რესპუბლიკაში, სამარის გუბერნიაში გახსნილია 1415 ამერიკული სასადილო 593,000 მჭამელთათვის. სიმბირსკის გუბერნიაში გახსნილია 198 სასადილო 177,330 მჭამელებისთვის, ყირგიზის რესპუბლიკაში გახსნილია 880 სასადილო. დახმარების ყველა დანარჩენ უცხოელ ორგანიზაციებმა, მათ შორის მუშათა კავშირებმა გახსნეს 169 სასადილო 458,000 მჭამელთათვის.

**დახმარება გლეხკაცობისაგან.**

**მოსკოვი.** 12 მარტი. „ბეცნოტა“ წერს: ჩვენ ვაქცევთ მოსავლიან გუბერნიების განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე, რომ ვოლგის მხარის დამშეულ გლეხებს, ყველაზე ცუდათ ეხმარება მათივე ძმა გლეხი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსავლიან გუბერნიები უმეტესად დასახლებულია ისეთივე უგრძნობ ერფეროვანი პირუტყვებით, რომლების მზგავსი ბევრია საზღვარ-გარეთ და რომლებიც სიხარულით მოელიან საბჭოთა რუსეთის შიმშილისაგან სიკვდილს“.

**უკრაინაში.**

**ოდესა,** 24 მარტი, რადიო. ნიკოლაევსკის და ოდესის რაიონებში შიმშილობა ძლიერდება. ხერსონში დაავადმყოფება და სიკვდილიანობა შიმშილისაგან აღწევს დიდ ციფრამდე. ერთი დღის განმავლობაში 21 მარტს შემოვიდენ საავადმყოფოში—70 კაცი, შიმშილისაგან დაავადმყოფებულთაგან მოკვდა 28. დაუშვებელ სანიტარულ მოპყრობის გამო შიმშილისაგან დახოცილთა დამარხვისადმი, გაცემულია ბრძანება სანიტარულ ექიმების სასაფლაოზე მუდმივ მორიგეობის შესახებ. ხერსონის მაზრიდან მოდის საშინარი ცნობები, რომ შიმშილი მძვინვარებს ახალი საშიში ძალით. კოლონიებში ყოველ დღე იხოცება ასობით ადამიანები. ნოვოარხანგელსკში იხოცება მთელი ღარიბი გლეხკაცობა, კვდებიან ყველა ბავშვები. ცოცხლად დარჩენილები იკვებებიან ძაღლებით და კატებით, მათი ტყავებიდან ამზადებენ საცივს. თბილი დღეების დადგომისას, ხერსონის მაზრის მცხოვრებლები ჩდიან სხვადასხვა მცენარეების ტყავებს, რასაც ისინი ხმარობენ საჭმელად, და რაც იწვევს კუჭის დაავადმყოფებას, რის გამო ხშირია სიკვდილი.

**შორეულ აღმოსავლეთში**

**შიმშილობა რუსეთში.**

**ეკლესია დამშეულთ.**

**მოსკოვი** 24 მარტი, რადიო. ვორონეჟის ეფისკოპოზმა ტიხონმა გამოუშვა მთელი სამღვდელოების სახელით მორწმუნეთა მიმართ შემდეგი შინაარსის მოწოდება: „ვორონეჟის ეკლესიის სამღვდელოება მოუწოდებს მთელ სამწყსოს მოეპყრონ დამშეულთა დასახმარებლად განძეულობის გადაცემას სათანადო ყურადღებით და დამშვიდებულად. ღმერთმა ქნას, რომ ეკლესიის ვერცხლი, ოქრო და ძვირფასი ქვები გადაქცეულიყვნენ პურად და ჩვენი ძმები გადაერჩინოს შიმშილით სიკვდილის საშინელებისაგან“. იოანე-ბოგოსლოვის ეკლესიის მორწმუნეებმა ვორონეჟში, გაეცვნენ რა ამ მოწოდებას, გადასწყვიტეს მისცენ ეკლესიის მთელი განძეულება დამშეულთა სასარგებლოდ.

— უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის მორწმუნეთა კრებამ ოდესაში, დაადგინა გადასცეს დამშეულებს ყველა ძვირფასეულობა და განძები; მორწმუნეთა მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „მძიმე წელში, ოდესის საეკლესიო უკრაინული კრებამ, დამშვიდებულ სინიდისით უბრუნებს ხალხს მის ქონებას, რომელიც აუცილებელია დამშეულთა სასარგებლოდ“.

# გენუას კონფერენციის შესახებ

**გადაწყვიტეს არ დაუშვან**

**ბერლინი.** 23 მარტი. რადიო. ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციამ ვარშავაში დაადგინა ხელი შეუშალონ და ყოველი ძალ ღონით წინააღუდგენ გერმანიის შესვლას რუსეთში.

**ხალხთა ლიგა და გენუა.**

**ბორდო.** 22 მარტი, (რადიო), მახლობელ დღეებში პარიზში შედგება ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა, იმ საკითხის საბოლოვოდ განსახილველად, თუ რა პირობებში უნდა მიიღოს მონაწილეობა ხალხთა ლიგამ გენუის კონფერენციაზე.

**მორატორიუმი.**

**ნაუენი.** 22 მარტი, (რადიო) პარიზიდან მოსულ ცნობებით, საკონტრიბუციო კომისიის წევრთა უმრავლესობა მომხრეა გერმანიისადმი მორატორიუმის მიცემისა. იმავე ცნობებით ინგლისს და იტალიას სურთ 1922 წ. გერმანიის მიერ გადასახდელ ჯამათ დაამყარონ 500 მილიონი მარკა ოქროთი, საფრანგეთი და ბელგია კი მოითხოვენ 750 მილიონ მარკას ოქროთი.

**სამხედრო კონტროლი.**

**ლონდონი.** 22 მარტი, (რადიო). „დეილ ტელეგრაფი“ იუწყება: წინააღმდეგ საფრანგეთის და იტალიის მოთხოვნილებისა, რომელთაც სურდათ განეახლებიათ სამხედრო კონტროლი გერმანიაში 8 წლით, ინგლისი პირიქით მოითხოვს რეინის რაიონის ქალაქების ოკუპაციის შეჩერებას და სამხედრო კონტროლის მოსპობას 1925 წლიდან, რადგანაც ამ დროისთვის გერმანიიდან საბოლოვოო იქნებიან გაყვანილი ინგლისის ჯარები.

**გაფიცვა ვიურტენბურგში.**

**ნაუენი.** 22 მარტი. რადიო. ვიურტენბურგში გაიფიცნენ ლითონის ქარხნების მუშები. სულ 80,000 მუშა.

**საფრანგეთის დახმარება რუსეთს.**

**ბორდო** 23 მარტი. რადიო. საფრანგეთის წითელმა ჯვარმა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ბერლინში დასდეს შეთანხმება რუსეთის დამშეულთა დახმარების შესახებ.

**გერმანიის ფინანსები.**

**ნაუენი.** 22 მარტი. რადიო. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ გერმანია იმდენად არის დატვირთული გადასახადებით, რომ რაიმე ახალ გადასახადის შემოღების შეუძლია გამოიწვიოს არა მარტო უკმაყოფილება, არამედ შექმნას განუხორციელებლობა მთავრობის ფინანსიური პროგრამისა. ფინანსთა მინისტრის სიტყვით, შინაურ სავალდებულო სესხს საუკეთესო პირობებში, მაქსიმალურად გამოყენების დროს შეუძლია მოგვცეს 60 მილიარდ მარკამდე, იმ დროს როდესაც საზავო ხელშეკრულების შესრულებისთვის საჭიროა 90 მილიარდ მარკამდე. ცხადია, რომ გერმანიის ფინანსების გადარჩენა დამოკიდებულია საზავო ხელშეკრულების მოთხოვნილებათა გონივრულ შემცირებაზე.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

**ანატოლიაში**

**სტამბოლი.** 13 მარტი. „ჟურნალ დე ორიანი“ იუწყება: მოეწყო ფოსტის გადატანა ჰაერით ადანასა და ანგორის შორის. პირველი ჰაეროპლანი ფოსტით მიფრინდა ანგორაში 23 თებერვალს.

**ამერიკელი ანატოლიის შესახებ**

**სტამბოლი.** 13 მარტი. „ჟურნალ დე ორიანს“ მოყავს შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტროს საიდუმლო აგენტის ჯილოპის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მან მიიღო ანატოლიაში მოგზაურობის დროს. აღნიშნავს რა ანატოლიის გზების უვარგისობას და მკაცრ ბუნებას, ჯილოპი ამბობს, რომ მთელ ტერიტორიაზე რომელიც იმყოფება დიდ ეროვნულ კრილობის გამგებლობაში გამეფებულია სრული წეს რიგი. ქემალი თავაზიანია უცხოელის, განსაკუთრებით კი ამერიკის მწარმოებლებს ეპყრობა ძლიერ მეგობრულად და გულწრფელად სურს მათთან მჭიდრო თანამშრომლობა. ანატოლიის სატახტო ქალაქი ანგორა შენდება და ეწყობა. გახსნილია ევროპიულ სტილზე დიდი რესტორანი. მაგარ სასმელების გაყიდვა აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე „აზარტული“ ქაღალდის თამაში. მაგარ სასმელების გამყიდველს დამნაშავეს სჯიან 60 წკეპლის დაკვრით და აჯარიმებენ 50 მლ. მთავრობის პროგრამის ძირითად პრინციპებს მტკიცე საფუძველი აქვს. მთავრობის მოღვაწეობის ერთად ერთ მიზანს შეადგენს—ქვეყნის მტერთა ულელისაგან განთავისუფლება. მართვა-გამგეობის მეთოდი სწორია, ეროვნებათა უმცირესობანი სავსებით დაცული არიან. სომხების და ბერძნების ღვთის-მსახურნი სრულიად დაუბრკოლებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში ეხრება ანატოლიის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. მთელი ყურადღება მიქცეულია ომისაკენ. გაძლიერებულია საომარი პატრიოტიზმი. ყველა შენობილია ბერძნები ანატოლიის საზღვრებიდან გადენის და ომის დამთავრების იდეით. ვაჭრობა ძლიერდება. ბაზარი ავსებულია საქონლით.

**ჩაძირული გემები**

**ლონდონი.** 15 მარტი. ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ ენერგიულად წარმოებს ჩაძირულ გემების დათვალიერების მუშაობა. 440 გემი დაწვრილებით დაათვალიერეს წყალქვეშ მცურავებმა. ზღვის ძირიდან ამოიღეს ნივთები ღირებული 50 მილიონ სტერლინგზე მეტი. ოკეანის გემზე „ლორეტიკ“-ზე, რომელიც ჩაძირული იყო ირლანდიის ნაპირებიან, იპოვეს 8 მილიონი სტერლინგი ოქროთი. უკანასკნელ ხანებში სიცივეების გამო მუშაობა შეჩერებული იყო. პირველ შესაძლებლობისათანავე მუშაობა განახლდება.

**უმუშევართა შესახებ**

**ლონდონი.** 1 მარტი. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ მიზეზს მუშათა მღელვარებისას რომელსაც ადგილი ქონდა ინგლისში და საერთოდ ევროპის სახელმწიფოებში, წარმოადგენს სამშვიდობო ხელშეკრულებანი. შრომის დაცვა არ შედიოდა ეგრიდწოდებულ საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელიც ევროპის დიპლომატების სიტყვით შენდება სამართლიანობის, თანამშრომლობის და თავისუფალების პრინციპებზე. უმუშევრობის საკითხი არ განუხილავთ არც ერთ დიპლომატიურ კონფერენციაზე. კიდევ უფრო მეტი: ერთმა პოლიტიკურმა პარტიამაც კი არ ჩათვალა გონივრულად დაეკისრებია თავის თავზე უმუშევართა დახმარება, დახმარების ფორმის დამოუკიდებლად, სულ ერთია იქნებოდა ეს საზოგადო სამუშაოების მოწყობით, მთავრობებზე გავლენის მოხდენის გზით თუ სხვა საშუალებით. მშრომელი მთავრობა ვერას დროს ვერ მოითმენდა, რომ რამოდენიმე ათასი მშრომელი იმყოფებოდეს შიმშილით დაღუპვის წინ, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ამანადგურებელ პოლიტიკით და რომელსაც მოყვა შემდეგ მთელი რიგი კერძო მწარმოებელთა გაკოტრება. მშრომელთა მთავრობას ბოლო უნდა მოეღო ექსპლოატაციისათვის, უნდა მიემართა მიწის და სხვა განძეულებათა დაბეგვრისათვის და ეზრუნა, რომ კაპიტალისტები არ გამდიდრებულიყვენ მშრომელთა ხარჯით.

# შიმშილობა რუსეთში

**ცარიცინის გუბერნიაში.**

**ცარიცინი.** 18 მარტი, (ტელეგრ.). შიმშილიდან გაჩენილი სახადი ემუქრება დაღუპვით ყველა ბავშვებს. სახადი შედის საბავშვო სახლებში და მუსრს ავლებს ბავშვებს. დუბოვსკში სახლების გავსების და საცვლების უქონლობის გამო მარტის პირველ კვირის განმავლობაში საბავშვო სახლებში ავად გახდა სახადით 22 გამდელი და 94 ბავშვი, ცინგით 163 ბავშვი, სხვა ავადმყოფობით 95 ბავშვი. ამასთანავე საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა რიცხვი არ კლებულობს. თვით ცარიცინში დამშეულები ნადირობენ ძაღლებზე და კატებზე. აღნიშნულია ისეთი შემთხვევები, როცა დამშეულები, მისდევდენ ფრინველს მოსაკლავად და ხვთებოდენ მატარებლებს ქვეშ. სადგურის მოედანზე გაისმის მომაკვდავთა სიკვდილის წინამორბედი კვნესა. თუ ცარიცინის გუბერნიას აღმოეჩინა დახმარება თესლის მიწოდებით, მაშინ შეიძლება დაითესოს სავსებით 600,000 დესიატინა.

**სამხრეთ უკრაინაში.**

**ხარკოვი.** 20 მარტი, (რადიო). მარიუპოლის მაზრაში შიმშილი ძლიერდება. ბევრ სოფლებში შიმშილისაგან დახოცილი ათასობით ითვლება. ცოცხლათ დარჩენილებს არ შესწევთ ძალა მკვდრების გვამების გატანის. მაზრაში გამოტანილია მთელი რიგი რეზოლიუციებისა ეკლესიის განძეულობის დაუყონებლივ ჩამორთმევის შესახებ.

**ბერდიანსკის მაზრაში.**

**მოსკოვი.** 21 მარტი, (რადიო), ბერდიანსკში გახშირდა შემთხვევები სიმშილის ნიადაგზე შელილობისა და თვითმკვლელობის. ქალაქის საავადმყოფო ვერ ახერხებს სიმშილისაგან დაავადმყოფებულთა დატევას.

**ელისაბედგრადის მაზრაში.**

**მოსკოვი.** 22 მარტი, (რადიო). კვირეული ცნობებით ელისაბედგრადში დამშეულია 53,000 კაცი.

**ვოლგის განაპირა გუბერნიებში.**

**სიმბირსკი.** 17 მარტი, (რადიო). სიკვდილიანობა სიზრანში იზრდება. ითვლება 600 აუკრეფელი გვამები. ყოველ დღე თავს უყრიან 40-მდე უსახლკარო ბავშვს.

**სამარის გუბერნიაში.**

**სამარა.** 15 მარტი, (რადიო). ყველა დამშეულ გუბერნიებს აკლია 3 მილიონამდე მუშა ცხენი. მიღებულია ყოველივე ზომები დამშეულ გუბერნიების მომუშავე საქონლით მოსამარაგებლად.

**ჩუვაშის ოლქში.**

**მოსკოვი,** 20 მარტი. რადიო. ჩუვაშის ოლქში 517000 ბავშვიდან სავსებით დამშეულია 175,000. კვებავენ სხვა და სხვა ორგანიზაციები 125000 ბავშვს, გაზაფხულის დადგომისას გადაწყვეტილია შეამცირონ სანახევროდ ულუფის რაოდენობა, ამერიკის დახმარების და სხვა ორგანიზაციებისა, რათა შესაძლებელი დარჩეს ორჯერ მეტი ბავშვთა რიცხვის კვება და შეძლების დაგვარად შეინახონ სათესად დანიშნული მარცვლები.

**ეკლესია დამშეულთ.**

**ვორონეჟი,** 16 მარტი. რადიო. ვორონეჟის მიტროფანის სახელობის მონასტერმა გადასცა დამშეულთა სასარგებლოდ 60 ფუთზე მეტი ვერცხლი, ნახევარი ფუთი ოქრო, 1000 ცალი ბრილიანტი და მარგალიტის და ზურმუხტის დიდძალი რიცხვი. მონასტერმა მისცა დამშეულებს მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი თავისი საეკლესიო ძვირფასეულობის.

**სამსახური საავადმყოფოებში.**

**მოსკოვი,** 21 მარტი. რადიო. ნანსენის ორგანიზაცია დათანხმდა თავისი ძალებით ემსახუროს დამშეულ რაიონების ყველა ჰოსპიტალებს და საავადმყოფოებს.

**ამერიკის პური.**

**ხარკოვი,** 21 მარტი რადიო. ოდესაში მოვიდა ამერიკის მე-5 გემი, რომელმაც მოიტანა 7000 ტონი სიმინდი და 8000 ტომარა პროდუქტი დახმარების ამერიკა-რუსეთის ორგანიზაციისათვის.

# ბალტიის კონფერენცია

**მოსკოვი,** 24 მარტი. რადიო. ამხ. რადეკი „პრავდაში“ სწერს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. განაპირა და მოსაზღვრე ქვეყნებს შეძლება ექნებოდათ თავიანთ სასარგებლოდ ეთამაშნათ გარკვეული როლი რუსეთის ეკონომიურ აღორძინებაში, მაგრამ ისინი განაგრძობენ ბეც ორიენტაციას, იმ მტაცებლებისადმი რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ ისინი გენუის კონფერენციას და მოუსპონ რუსეთის აღმშენებლობითი მუშაობაში მონაწილეობის მიღების საშუალებას. ამავე დროს ვარშავის „გაზეთ პორანში“ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეროვიცმა განაცხადა, რომ ბალტიის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დაუახლოვდენ გერმანიას და რუსეთს ვინაიდან ეს სახელმწიფოები აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც საშიშია ზავისათვის· მოყავს რა ეს შენიშვნა მეროვიცის საუბრიდან, ამხ. რადეკი სწერს:

„უაზრობაა მეროვიცის მხრით ასეთი საყვედურებით მიმართოს საბჭოთა რუსეთის, იმ დროს, როდესაც გენუაში...., გამოტოვებულია)... და სამჯერ უაზრობა მონაწილეობის მიღება.. (დამახინჯებულია)..... საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ, იმ დროს როდესაც დღიურ წეს რიგში დგას რუსეთის ეკონომიურად აღორძინების საკითხი, რომელშიაც პატარა ქვეყნებს შეეძლო ეთამაშნათ ერთგვარი როლი. იმისათვის რომ მათ ეს როლი ითამაშონ, საჭიროა საბჭოთა მთავრობის სურვილი. ბრძოლა მოკავშირეთა მისწრაფების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გამორიცხონ ეს ქვეყნები რუსეთის საამშენებლო მუშაობაში მონაწილეობა და მეროვიცის მიერ გაკეთებული განცხადებანი, მოსკოვის განცხადებანი არ აძლიერებენ საბჭოთა რუსეთის ამ სურვილს მიიზიდოს განაპირა სახელმწიფონი. გენუა ან იქნება და ან არა. გენუა გაივლის დარჩება რუსეთი, ამ ჟამათ დაავადებული და დასუსტებული, მაგრამ რომლის ჯანმრთელობის გარეშე არ შეუძლიათ იცხოვრონ და განვითარდენ განაპირა სახელმწიფოებს. პატარა ქვეყნების დიდი დიპლომატებს აქვთ ადამიანის სისუსტეებისათვის ალბად უფრო გასაგებია ლორდ კერზონის ფრაკი და ჩერჩილის ხმალი, ვინემ საბჭოთა რუსეთის მეგობრობა მაგრამ ჩერჩილის ხმალი ვერ არი კარგი მჭრელი და ლორდ კერზონიც არ დაქორწილებულა განაპირა სახელმწიფოებზე, თუმცა ხელს უწყობდა მათ შექმნას რუსეთის მშრომელი ხალხი კი ყოველთვის დარჩება განაპირა პატარა ეროვნებათა მეზობლათ: მას სურს იცხოვროს მშვიდობიანად ურთიერთ სარგებლობისათვის. წვრილმა ხალხებმა უნდა დააფასონ ეს მშვიდობიანობის მოყვარეობა და შეიგნონ, რომ არ შეიძლება რუსეთის წინაამდეგ გამოსვლა და დღევანდელი ძლიერთა მხარის დაჭერა. მოვა ხვალინდელი დღე, რომლის შესახებაც საჭიროა მოფიქრება.

# ქრონიკა

✦ **ექსკურსია.** პროლეტარულ ასოციაციის წევრები დღეს, 10 საათიდან დაათვალიერებენ ტრამვაის ელექტრონის სადგურს. ასოციაციის წევრები ღ პროლეტარულ დრამატიული სტუდიელები შეგროვდებიან 9 საათზე სახალხო განათლების კომისარიატში.

✦ **საქართველ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას 26 მარტს დილის 11 საათისთვის დანიშნული კრება აგრარულ საკითხის შესახებ ბინის საკითხის მოუგვარებლობის გამო გადადებულია მომავალ კვირისთვის (2 აპრილს დილის 11 საათზე იმავე შენობაში ბორიატინის ქუჩა № 5.)

✦ 27 ამა მარტს დილის 10 საათზე უზენაეს რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია გასარჩევად ბრალდებულის და დამცველების დაშვებით— საქმე ქ. თბილისის მე-13 რაიონის ყოფილ კომისრის ტრაპაიძის და იმავე კომისარიატის თანამშრომლის ოსიპოვის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ სახაზინო ფულების გაფლანგვა.

# კოოპერაცია

### კოოპერატივი „ერთობის“ ავ-კარგი*)

კოოპერაციას აქვს თავისი დანიშნულება: მომხმარებელთა უზრუნველყოფა ცხოვრებისათვის საჭირო საგნებით.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა დღეს იმდენათ კრიტიკულია, რომ მართლა საჭიროა მეტი სიფხიზლით, მეტი სიფაქიზით მათდამი მოპყრობა და სწორეთ ამ მიზანს უნდა ემსახუროს კოოპერაცია. პირდაპირი მოვალეობა მისი არის დაკმაყოფილება თავის წევრებისა, რაც შეიძლება კარგათ და ეკონომიურად, მისმა ხელმძღვანელებმა თავისი პირადი ინტერესები უნდა უარყონ. გარდა ამისა საჭიროა, რომ წევრებიც იყვნენ გულმოდგინენი საქმისადმი და შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი ინტერესები. კოოპერაციიდან ჩვენ გამოველით წარმატებას. მაგრამ ჩვენ დღევანდელ ზოგიერთ კოოპერაციებში რაიმე მზგავსსაც ვერა ვხედავთ. მაგალითად თბილისში არსებობს ისეთი კოოპერატივები, რომლებიც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას.

მაგალითისათვის ავიღებ კოოპერატივ „ერთობას“ (единеніе), რომელსაც თავისი პატარა ისტორიაც აქვს. მე ვერ მოვახერხებ ამ კოოპერატივს, მისი სახელისდა მიხედვით, ქება შევასხა. თითქმის სახელი დიდია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, იქ ვხედავთ სულ სხვა რამეს. გამგეობა ვერა სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. მის წევრებს აინტერესებს თავიანთი ინტერესები, მომხმარებლის კი არა.

ამ დებულებას ამტკიცებს ბლომად ნივთების ნისიათ გაცემა, სალაროს დასუსტება, საზოგადოების ფულის არა-რაციონალურათ მოხმარება. გულუხვი საზოგადოების ფულებზე ქეიფის გამართვა. ყველაფერი ეს ხდება სწორეთ იმ კოოპერატივში, რომლის მოსამსახურეებათ გამგეობამ ნათლიმამურათ მიიწვია თავისიანები.

მე არაფერს არ ვიტყვი მეტს და მხოლოდ ნამდვილ წევრებს, რომელთაც მართლაც აინტერესებთ კოოპერატივის ბედ-იღბალი, რომელთაც შეგნებული აქვთ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, მე ვურჩევ: მივიდნენ კოოპერატივში და იქ გამოსძებნონ თავიანთ თავის და მათივე არჩეული გამგეობის უბედურობა. მე მეგონა, რომ ამ გარემოებას აქამდე მიაქცევდა ყურადღებას ცეკავშირი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ისიც ნამინაცვლური თვალით უყურებს ამ საზოგადო საქმეს.

იმედია რომ საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და აღაგმავს იმ ხალხს, რომელიც დაპატრონებია დღეს საზოგადოების დოვლათს, გადაახალისებს კოოპერატივის ორგანიზაციას და მისცემს კოოპერატივ „ერთობის“ მუშაობას იმ მსვლელობას, რომელიც შესძლებს გამოიღოს ნაყოფი მისი წევრების სასარგებლოთ.

**გან—ნარი.**

*) ვბეჭდავთ ავტორის სრული პასუხისმგებლობის ქვეშ.

**რედ.**

# სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობა

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც სახალხო სასურსათო კომისარიატს მიღებული აქვს მარტის 24-სთვის, რესპუბლიკის ყველა მაზრაში უკვე დაარსებულია სასურსათო საგადასახადო სამეულები. ზოგიერთი სამეული ამ ჟამად მხოლოთ ათავებს წინასწარ საორგანიზაციო მუშაობას, ზოგი-კი უკვე შეუდგა გადასახადის შეგროვებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს სამეულები ვერ იქმნა დაარსებული ისე სწრაფად, როგორც განზრახული იყო, მაგრამ ამას ბევრი საპატიო მიზეზები ჰქონდა. მათ შორის ის, რომ ყველგან აღმასრულებელ კომიტეტების არჩევნები წსარმოებდა და პასუხისმგებელი ამხანაგები ამ მუშაობაში იყვნენ სავსებით ჩაბმულნი, მხოლოდ ამ არჩევნების გათავებისა და შემდეგ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომ საგადასახადო საქმეს სათანადო ყურადღება მიქცეოდა.

სამეულების მოქმედების შესახებ ჯერ-ჯერობით შემდეგი ცნობებია მიღებული სასურსათო კომისარიატში:

**ფოთი.** როგორც ფოთის სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება მარტის 17-ის თარიღით, საგადასახადო სამეული დაარსებულია. მან ჩაიბარა და განიხილა ძველი კომისის ქაღალდები და შეუდგა წინასწარ მუშაობას საგადასახადო კამპანიისთვის, რომელიც უნდა დასრულდეს ერთს თვეში.

**დუშეთის მაზრა.** მარტის 15-სთვის საგადასახადო სამეული დაარსდა შემდეგის შემადგენლობით: აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდოიარე ამხ. ლაფაჩაშვილი, სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. ბენდუქიძე ალ., და პარტკომის მდივანი ამხ. კაზოევი პორფირე. სამეული შეუდგა ძველის კომისიისაგან საქმეების ჩაბარებას და წინასწარ საორგანიზაციო მუშაობას.

**ახალციხის მაზრა.** სამეული მარტის 1-სთვის შესდგა. შემადგენლობა: აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტროინინი, სამაზრო სასურსათო კომისარი კუზნეცოვი და ამხ. ტარატინოვი. სამეულმა დაასრულა საჩივრების განხილვა და თავის სხდომების ოქმები საუწყებათაშორისო კომისიას გაუგზავნა. უკანასკნელ ცნობებით მარტის პირველიდან 15-მდე მაზრაში შეგროვილ იქნა:

ხორბალი—1589 ფუთი, ქერდიკა 322 ფუთი, ქერი 463 ფუთი: სიმინდი 1025 ფუთი, კარტოფილი 3726 ფუთი, ვაშლი 133 ფ., ლობიო 16 ფ., ხორცი 169 ფ., მსხვილი საკლავი საქონელი 13 სული, წვრილი საქონელი 96.

ზოგიერთმა თემმა სრულად გადაიხადა მათზე შეწერილი მარცვლეული და კარტოფილი. საკლავ საქონლის მიღება შეჩერებულ იქმნა, რადგანაც საქონელი მეტად გამხდარია და არც ფურაჟი და ფული მოიპოვება მათ შესანახად. წინასწარი მუშაობა საქონლის მისაღებად სწარმოებს. მიღება განახლდება ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ და გაზაფხულის მოახლოვებისათანავე, როდესაც საბალახოებზე საქონლის გაშვება იქნება შესაძლებელი.

**თბილისის მაზრა.** მარტის 14-დან 21-მდე მაზრაში შეგროვილია: ხორბალი—49 ფუთი 36 გირ., ქერი—55 ფუთი 28 ნახ. გ., და ჭარხალი—20 ფუთი 37 ნახ. გირ. წისქვილების გადასახადისაგან შემოვიდა: ხორბალი—6 ფუთი 33 გირ. და სიმინდი—20 ფუთი.

**თელავის მაზრა.** სამეულის შემადგენლობა: სამაზრო სასურსათო კომისარი ერმილე ხავთასი (თავმჯდომარე), აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე გ. ქურციკაშვილი და პარტკომის მდივანი ნ. კალატოზიშვილი. სამეული უკვე შეუდგა ნატურ-გადასახადის შეგროვებას.

საგადასახადო კამპანიის დაწყების დღიდან მარტის 18-მდე მაზრაში შეგროვილია და მოტანილი საწყობებში: ხორბალი—2.344 ფუთი 28 გირ., სიმინდი—2.191 ფუთი, ქერი—11 ფ., 30 გ., ამას გარდა მაზრაში შეგროვილია, მაგრამ საწყობებში მოტანილი არ არის გზების მოუწყობლობისა და გადასაზიდ საშუალებათა უქონლობის გამო 3.000-მდე ფუთი ხორბალი და სიმინდი.

ღვინო შეგროვილია 10.000 ვედრო, ხოლო ხორცი—500 ფუთი

**გორის მაზრა.** მარტის 22-ს შემოვიდა:

1) ხაშურის საწყობში: ხორბალი—49 ფუთი 3 გირ. სიმინდი—264 ფუთი 20 გირ. ქერი—174 ფუთი 28 გ. ლობიო 20 ფ. პურის ფქვილი—70 ფ. 23 გირ.

2) ქარელის საწყობებში: ხორბალი 115 ფუთი 6 გირ., სიმინდი 199 ფ. 11 გირ., ქერი 10 ფუთი 26 გირვ., კარტოფილი—11 ფუთი 10 გირ.

3) გორის საწყობში: სიმინდი—73 ფუთი, ლობიო—6 ფ. 10 გ. ვაშლი 12 ფუთი 25 გირ.

4) **ახალქალაქის საწყობებში:** ხორბალი 60 ფ. სიმინდი 318 ფუთი 23 გირ. მუხუდო—4 ფუთი 28 გირ. კარტოფილი—112 ფუთი 20 გირ. ლვინო—32 ვედრო.

5) **ცხინვალის საწყობში**—სიმინდი 25 ფუთი 35 გირ. ლობიო 18 ფუთი 30 გირ. ვაშლი—11 ფუთი 35 გირ. ღვინო—54 ვედრო და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ახლად დაარსებულ საგადასახადო სამეულების

მოქმედება საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. ეს იქიდინაც სჩანს, რომ უკანასკნელ დღეებში თითქმის ყველა მაზრაში ბევრი გადასახადი გროვდება, განსაკუთრებით მარცვლეული.

დოკუმენტალურ ცნობების მიხედვით საგადასახადო კამპანიის დაწყების დღიდან მარტის 24 მდე მთელს რესპუბლიკაში სულ შეგროვილია: ხორბალი—21,373 ფუთი 39 ნახევარი გირ., ქერი—10,021 ფ. 6 ნახ. გირ., სიმინდი—29,496 ფ. 6 გირ., ქერდიკა—1,212 ფ. 32 გირ., კართოფილი—19,291 ფ. 18 გ., ლობიო 609 ფუთი 29 სამნახევარი გ., ხახვი—325 ფუთი 6 გ., ქარხალი—1,007 ფუთი, კომბოსტო—19 ფ. 31 გ., გოგრა—45 ფ. 38 ნახ. გ., შვრია—73 ფუთი 29 სამი მეოთხედი გ., ფეტვი—1,263 ფ. 33 სამი მეოთხედი გ., ერბო—95 ფ. 29 ერთი მერვედი გირ., ყველი—143 ფ. 5 ერთი მერვედი გ., მატყლი—91 ფ. 26 გ., ხორცი—886 ფ. 24 გ., ვაშლი და მსხალი—713 ფ. 41 გ., ზეთი—20 ფ. და ღვინო—3192 ნახევარი ვედრო.

## მუშათა მთლიანი კოოპერატივის მოქმედება

### საერთო მოქმედება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი, აქ, განსაკუთრებით თბილისში, არსებობდა რამოდენიმე კოოპერატივი, რომლებიც აერთიანებდნენ მეტ წილად მუშებსა და მოსამსახურეებს. დაჩრდილული საზოგადო და წვრილ ბურჟუაზიული კოოპერატივებით, ცალ-ცალკე მომქმედმა მუშათა კოოპერატივებმა, რომლებიც მაშინ თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ, ვერაფერში ვერ შესძლეს თავის პროლეტარულ სახის გამოჩენა და ვერ მოახერხეს რამოდენიმედ მაინც გავლენა მოეხდინათ დანარჩენ კოოპერაციაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ინიციატივით 1921 წლის ივნისის დასაწყისში შესდგა საინიციატივო ჯგუფი მუშათა კოოპერატივის მოსაწყობათ თბილისის ფარგლებში. საორგანიზაციო ბიუროში წამოიჭრა საკითხი პირველ მუშათა მთლიანი კოოპერატივის ორგანიზაციის პრინციპების შესახებ: შექმნათ ცალკე მუშათა მთლიანი კოოპერატივები წარმოებებთან და დაწესებულებებთან, როგორც ეს იყო საბჭოთა რუსეთში, თუ უპირატესობა მიეცათ მთლიანი მრავალ განყოფილებიანი კოოპერატივების სისტემისათვის.

საორგანიზაციო ბიურომ, ისე როგორც საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში შედარებითი მცირე რიცხვი თბილისის პროლეტარიატისა, რესურსების განსაზღვრული რაოდენობა და დაქსაქსულობა დანარჩენი სამომხმარებლო კოოპერაციისა საქართველოში, მილიონი სამოქალაქო კოოპერაციის მაგიერად, საჭიროდ დაინახა მუშათა მთლიანი კოოპერატივის დაარსება, სადაც უნდა შეგროვილიყო მთელი მატერიალური მარაგი, რომელიც მართლა შესძლებდა მოეხდინა რამე გავლენა ბაზარზე და რომელიც შემდეგში მიზეზი იქნებოდა მთელი დანარჩენი დაქსაქსული და დასუსტებული კოოპერაციის გაერთიანებისა.

განზრახული იყო საფუძვლათ აღებულიყო აპარატი კოოპერატივ „ალორძინებისა“, რომელსაც, ჯერ კიდევ მენშევიკების დროს დამტკიცებული წესდების მიხედვით, შედიოდა მხოლოდ პროფკავშირების წევრების მიღება და მოახერხა აგრეთვე თავის დუქნების გახსნა თბილისის ბევრ ადგილებში. მტრული განწყობილების გამო, რომელიც გამოიჩინეს „ალორძინების“ წარმომადგენლებმა და გამგეობამ, საჭირო გახდა საფუძვლად აგვეღო ქალაქის სასურსათო კომიტეტის აპარატი, რომლის ნაწილობრივი ლიკვიდაცია ხდებოდა იმ დროს.

საორგანიზაციო ბიუროს და საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს შეხედულება მუშათა მთლიანი კოოპერატივის ორგანიზაციის პრინციპების შესახებ დამტკიცებულ იქნა 11 ივლისს 1921 წელს პროფკავშირების საბჭოს გაფართოებულ პლენუმის მიერ და იქვე ამოირჩიეს 7 კაცისაგან შემდგარი დროებითი გამგეობა.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის წინაშე წამოჭრილი ყველაზე უფრო სერიოზული საკითხი იყო საკითხი სახსარის შესახებ. სახალხო სასურსათო კომისარიატთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ მას შეუძლია გადმოეცეს 896 მილიონი მანეთის საქონლის ფონდი. ამას დაემატა 5 პროცენტი ფონდი წარმოებებისა და დაწესებულებებიდან და ეს ერთად შეიქმნა მუშათა მთლიანი კოოპერატივის ძირითადი თანხა. მუშათა მთლიანი კოოპერატივის წევრების რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს: 1921 წლის ოქტომბერში ის უდრიდა 2,293, 1922 წლის 1 მარტისათვის ის აღიდა — 27,684. ამ ჟამად მუშათა მთლიან კოოპერატივში ჩაწერილია თბილისის ყველა მუშებისა და მოსამსახურეების 59 პროცენტი.

თვიური ტრიალი, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში უდრიდა 212 მილ. მანეთს, თებერვალში გაიზარდა 9 მილიარდ მანეთამდე.

კოოპერატივის განვითარებას ძალიან უშლის ხელს სახსარის უქონლობა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მუშათა მთლიანი კოოპერატივი მეტოქეობას უწევდა ბაზრის ფასებს, ყიდიდა რა თავის საქონელს წევრებზე 25—30 პროც. და თებერვალის ვაჭანალიის დროს 80 პროც. უფრო იაფად ბაზართან შედარებით.

**გამგეობა.**

14 ივლისიდან 1 მარტამდე გამგეობას ჰქონდა 39 სხდომა, რომლებზედაც გაირჩა 365 საკითხი. მათი უდიდესი პროცენტი ეკუთვნის საორგანიზაციო საკითხებს (70).

**თანამშრომლები.**

მუშათა მთლიანი კოოპერატივის თანამშრომლები 1 მარტისათვის უდრიდა 580 კაცს. აქ შედიან: მდივნები—9, ბუღალტრები—14, სალარო—3, საორგანიზაციო განყოფილება—12, საწყობების განყოფილება—36, დუქნების ქვე-განყოფილებები—70, ეკსპედიტორის ნაწილი—18, სარძევე ქვე-განყოფილება—7, სათბობი მასალის ქვე-განყოფილება—7, ადგილობრივი კომიტეტი—3, კოოპერატივების სასადილოების ქვე-განყოფილება—13, საწარმოო განყოფილება—46, საცხობი—8, გადამზიდავი საშუალება—225, დანარჩენი კაცები—91.

**წევრები:**

აღრიცხულია წევრები მუშათა მთლიანი კოოპერატივისა: სექტემბერში—2,282, ოქტომბერში—9,200, ნოემბერში—7618, დეკემბერში—4657, იანვარში—2146 და თებერვალში—1812. ამნაირად წევრების საერთო რიცხვი 1 მარტისათვის უდრის—27,715 კ.

**მუშათა მთლიანი კოოპერატივი და მუშათა კოოპერატივები.**

ფაქტიური შეერთების საკითხი მუშათა მთლიანი კოოპერატივისა ყველა დანარჩენ მუშათა კოოპერატივებთან დღემდე ვერ არი მოგვარებული. მოხდენილია მხოლოდ ლიკვიდაცია სახელმწიფო მოსამსახურეთა საზოგადოებისა, ამასთან მისი ქონება განაწილებულ იქნა მუშათა მთლიანი კოოპერატივის და სამხ. კოოპერატ. შორის. ერთ-ერთი მუშათა კოოპერატივთაგანი—„ალორძინება“ როგორც ეს გამოარკვია ამას წინად სახალხო სასურსათო კომისარიატის კოოპერატივთა კოლეგიის რევიზიამ, მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით, და მასთან შეერთება არ მოგვიხდება. სხვა მუშათა კოოპერატივებთან შეერთება კიდევ არ მომხდარა, თუმცა მათი წევრები შემოვიდნენ მუშათა მთლიან კოოპერატივში.

**მუშათა კოოპერაციის ორგანიზაცია.**

იმყოფება რა ცენტრში, მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა აიღო ინიციატივა მუშათა კოოპერაციის ორგანიზაციისა საქართველოში. დეკემბრის ბოლო რიცხვებში, საქართველოს კოოპერატიულ ყრილობის წინ, მოწვეულ იქნა საქართველოს მუშათა კოოპერატივების თათბირი. ყრილობის შედეგად უნდა ჩაითვალოს გამორკვევა დამოუკიდებლობისა მუშათა კოოპერატივების და სამოქალაქო კოოპერატივების შორის და არჩევნები საქართველოს მუშათა კოოპერატივების ცენტრალური კომიტეტისა.

(დასასრული იქნება)

## წარმოებითი პროფკავშირებში

### კავშირების ფინანსები

რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიურომ გადუგზავნა ს. პ. კ. ს. დებულება კავშირების ფინანსების შესახებ, რომელიც შეფარდებულია რ. პ. კ. ც. საბჭოს უკანასკნელი პლენუმის და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობის გადაწყვეტილებებთან.

ამ დებულების მიხედვით, პროფკავშირების საშუალებები შედგება 2 პროცენტიანი თვიური გადარიცხვა კავშირების წევრთა ყოველგვარ სამუშაო ხელფასიდან (როგორც ფულით, ისე პროდუქტებით, ნივთებით და სხ.) და შესასვლელ საწევრო გადასახადისაგან დღიურ ხელფასის ნახევრის რაოდენობით.

დამატებითი გადასახადი დაშვებულია მხოლოდ სრ. რუსეთის წარმოებითი გაერთიანების მასშტაბით, სრულიად რუსეთის წარმოებით კავშირის დადგენილების და რ. პ. კ. ც. ს. სანქციით.

[illegible] ამ შემოტანას.

ასე, კავშირის წევრები, რომელნიც საპატიო მიზეზების გარეშე არ გადაიხდიან შესატანს 3 თვის განმავლობაში, გამოირიცხებიან კავშირის შემადგენლობიდან და მათი ხელ-ახლა მიღება დაშვებულია მხოლოდ შესასვლელ შესატანის გადახდის შემდეგ.

კავშირის უმუშევარ წევრთა ინტერესები დაცულია დადგენილებით, რომლის მიხედვით კავშირის უმუშევარი წევრი თავისუფლდება საწევრო გადასახადისაგან და, იმყოფება რა შრომის ადგილობრივ განყოფილების აღრიცხვაზე, წას რჩება კავშირის ყველა უფლებები.

იმ პირების მიმართ, რომელნიც სისტემატიურად არღვევენ ფინანსიურ ვალდებულებათა წესს და გადასახადის შეუტანლობისათვის სამჯერ არიან გამორიცხულნი კავშირებიდან,—მყარდება შეზღუდვა წევრებად უკან მიღების დროს. ეს მიღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, ასეთი პირის მიერ კავშირის ადგილობრივ [illegible] მელიც უდრის გასავალს აღებულ თვეში, კავშირის განყოფილების მიერ მათთვის დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

რესპუბლიკანური განყოფილებები უგზავნიან რესპუბლიკანურ პროფსაბჭოს ამა თუ იმ გუბერნიის ან რაიონის ყველა შემოსულ საწევრო გადასახადის საერთო ჯამის 10 პროცენტს, 40 პროცენტს თავის პროფკავშირის ც. გამგეობას და 50 პროც. იხარჯება ადგილობრივად ც. გამგეობის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად. არც ც. მ. რწმუნებულებს, არც მისი რესპუბლიკანურ განყოფილებების, რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიუროს და პროფსაბჭოების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ აიღონ არავითარი გადარიცხვა დაბლა მდგარ ორგანიზაციებიდან, არამედ ისინი არსებობენ სათანადო უმაღლეს საკავშირო ორგანოების ხარჯზე.

დებულების ბოლო ნაწილი ეხება შტატების და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენის და დამტკიცების წესს, აგრეთვე პროფორგანიზაციების ფინანსიური ანგარიშიანობას.

## პროვინციაში

### ახალსოფლის საზოგადოება

(გორის მაზრა, ხიდისთავის რაიონი)

ჩვენი მხარე საუბედუროთ ბევრჯელ დაზარალდა სეტყვისაგან და გასულ წლის აგვისტოშიაც დაზარალდა 10 სოფლამდი. მაშინათვე მივმართეთ მთავრობას დახმარებისათვის, რის შესახებაც მივაწერეს გორის დამთეს სამაზრო განყოფილებას და იმედი გვაქვს ცოტათ მაინც დაგვაკმაყოფილებენ თესლით, რომ არ დარჩეს ჩვენი მიწები დაუთესავი. ჩვენი მდგომარეობის შესახებ ცნობები ბ სიები წარდგენილია დამთეს კომისიაში. სურსათის უქონლობის გამო ხალხი ჰყიდის მარჩენალ საქონელს, ხარებსაც-კი. გამოსავალი გზა არსად არის. თესლი თუ არ მიიღეს, მაშინ მთლად დაიღუპებიან ჩვენი დასეტყვილი სოფლები.

ნატ. გადასახადის შესახებ გვქონდა აღძრული შუამდგომლობა. სრულ იმედს გამოვთქვამთ — რომ პურის გადასახადისაგან მაინც გაგვანთავისუფლებენ.

ჩვენში სხვა ფრიად მშვიდობიანობაა. პრავაკატორები ნაკლებად არიან და თუ ვინმე ჩნდება, ხალხი მათ სდევნის. ჩვენი ოსები ბალშევიკებს, ძლიერ ემადლიერებიან, რადგანაც იმათ გადაარჩინეს დაღუპვას, თორემ მენშევიკები ოსების აყრას უპირებდნენ. აგრეთვე მათი ტაციობა არ დაავიწყდებათ.

**ხიონ.**

## წერილი რედაქციის მიმართ

**გაუგებრობის ასაცილებლად.**

გაზეთ „კომუნისტის“ 24 მარტის № 66-ში, ჩემს მიერ მოთავსებულ ამხ. ლ. დუმბაძის საპასუხო წერილში, სათაურით „ქაღალდის ფლანგვის შესახებ“, იყო მოყვანილი შემდეგი სიტყვები: „კერძოდ შრომის კომისარიატის ნაკლის ჩვენება არ შეიძლებოდა განყენებულად. ეს ნაკლი გამოწვეულია იქ ფაქტიურად მუშაობის ხელმძღვანელებისაგან“, რომ ეს სხვანაირად არ იქნეს გაგებული, საჭიროთ ვთვლი, განვმარტო ზევით-მოყვანილი ადგილი უფრო ნათლად. იქ ნახსენები ნაკლი გულისხმობს მხოლოდ საქართ. საბჭოთა ყრილობის დელეგატებისათვის დაბეჭდილ შრომის კომისარიატის წლიური მუშაობის ანგარიშებში ზედმეტ და არა საჭირო ადგილების სიმრავლეს, **რაც სრულებით არ შეეხება შრომის კომისარიატის მიერ ჩატარებულ მუშაობას,** რომლის ნაყოფიერებაზე ნაჩვენებია იმავე წერილში და ამის დასამტკიცებლად მოყვანილია საბჭოთა რუსეთის შრომის კომისარიატის ამ მუშაობის დაფასება.

**ნ. ლ.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 11.

**შრომის სახალხო კომისარიატის საგადასახადო პირველ პერიოდის გაგრძელების შესახებ.**

ვინაიდან პირველ პერიოდში შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის წესით ჩასატარებელ სამუშაოებების შრომის სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებებისა და სამეურნეო ორგანოთა მოუმზადებლობის გამო, ვერ შესრულდა დაწესებულ ვადაში, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. პირველი საგადასახადო პერიოდი გაგრძელებულ იქმნას 30 აპრილამდე.

2. ყველა სამუშაო, რომელიც თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის გეგმისა, შეუსრულებელი დარჩა პირველ პერიოდის განმავლობაში, უნდა შესრულდეს 30 აპრილამდე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **მიქაძე.**

შრომის გადასახადისა და ბეგარათა განყოფილების გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

1922 წ. 21 მარტი.

ტფილისი—სასახლე.

### დებულება.

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოებისა.**

1) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველო არსებობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან.

2) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო არის ცენტრალური ორგანო, რომელიც განაგებს და აწესრიგებს მთელი რესპუბლიკის ფარგლებში პატიმართა იძულებითი მუშაობას.

3) მას ევალება:

ა) ხელმძღვანელობა იძულებითი სამუშაოს ყველა ორგანოთა მოქმედებისა, მათი მოწყობა და მართვა.

ბ) გადაწყვეტა ყველა იმ მთავარ მნიშვნელოვანი და პრინციპიალური საკითხებისა, რომლებიც ეხება თვით სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციას.

გ) შემუშავება დებულებათა, ინსტრუქციებისა და წესებისა ბანაკთა და ბიუროს მოწყობის და მართვის შესახებ.

დ) განხილვა მოხსენებათა და ანგარიშებისა ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ,

ე) მეთვალყურეობა, რომ ქვემდებარე ორგანოთა მოქმედება იყოს სწორი და კანონიერი,

ვ) შემუშავება დასკვნისა ქვემდებარე ორგანოთა ანგარიშების და მოხსენებათა შესახებ ხან გამოშვებით წარსადგენათ შ. ს. ს. კომისარიატის კოლეგიისთვის,

ზ) განხილვა და დამტკიცება ქვემდებარე ორგანოთა შტატების და ხარჯთ-აღრიცხვისა,

თ) დამტკიცება ბანაკთა კომენდანტებისა და იძულებითი სამუშაოს მაზრების და ქალაქების ქვე-განყოფილებათა გამგეობისა და

ი) ახალი ბანაკების გახსნა.

4) იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს სათავეში სდგას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ დანიშნული გამგე.

5) იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს შტატს და ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს შ. ს. ს. კომისარიატის კოლეგია.

6) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო შესდგება შემდეგი განყოფილებებიდგან:

ა) **ადმინისტრატიული, რომელიც** ეწევა ყველა ადგილობრივ ორგანოთა მოქმედების ზედამხედველობას და კანტროლს, ჰკრებს სტატისტიკურ ცნობებს პატიმართა რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ, ანაწილებს პატიმართ ბანაკებში, იღებს ანგარიშზე იმ პირთ, რომელთაც მისჯილი აქვთ იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეცლად, და ანაწილებს მათ სამუშაოზე, უთვალყურებს ბანაკთა სანიტარულ მდგომარეობას და ღებულობს სათანადო ზომებს მის მოსაწესრიგებლად, იმუშავებს ინსტრუქციებს, წესებს და განკარგულებებს [illegible] ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას და ანგარიშებს [illegible].

ბ) **საწარმოვო-ტეხნიკური,** რომლის მოვალეობაა ბანაკებში სახელოსნოების მოწყობა და გამართვა, იძულებითი მუშაობის მოსახდელი ადგილების შეკეთება, სასოფლო მეურნეობის მუშაობის მოწყობა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით ფაბრიკების ქარხნების, ტყის დამმზადებელი ორგანოების და სხვა დახმარება იძულებითი მუშაობა მისჯილთა შრომით, შეჩერებულ წარმოებათა ამუშავება და სხ.

გ) **სამეურნეო,** რომელიც განაგებს იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოთა სამეურნეო საკითხებს, ადევნებს თვალყურს ბანაკთათვის სურსათ-სანოვაგის, საჭირო ინვენტარის და ხელსაწყოს თავის დროზედ მოწოდებას, ადგენს საერთო მატერიალურ ხარჯთ-აღრიცხვას, იღებს ანგარიშზედ ადგილობრივ ორგანოთა ქონებას და სხ.

7) განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო და ამტკიცებს შ. ს. ს. მ. კოლეგია.

**შენიშვნა:** ადმინისტრატიულ განყოფილებასთან არსებობს ბიურო იძულებითი მუშაობისა თავისუფლების აღუკვეცლად, რომლის მოქმედების ფარგალი განისაზღვრება ამავე დებულებით 55—68 მუხ. ბიუროს სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს მთავარი სამმართველო.

(შემდეგი იქნება)

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტი აუწყებს პარტიულ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს. ამხ. ლევან ამირაგოვის მეუღლის

**ანტონინა ამირაგოვის**

უდროვოდ გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ კვირას 26 მარტს ვერის სამების ინსტიტუტიდან. დაკრძალვა იოანე ღვთის მეტყველის სასაფლაოზე.

**მუშათა მთლიან კოოპერატივის დროებითი მმართველობა**

აცხადებს, რომ **მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულთა კრება გაიხსნება 25 მარტს პროფკავშირების კლუბის ბინაზე** (რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე). რწმუნებულთა რეგისტრაცია და მათთვის მანდატების მიცემა იწარმოებს მუშათა მთლიან კოოპერატივის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების ბინაზე (კირკის ქუჩა, 7) ხუთშაბათიდან, ამა წლის 23 მარტიდან.

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ**

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

**გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.**

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

**ამა წლის 30 მარტს, დღით ხუთშაბათს, დილის 11 საათზე**

ს. ს. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამავე კომისარიატისათვის ხორცის მიწოდების შესახებ. საიჯარო პირობების გაცნობა შესაძლოა ყოველ დღე სახ. სას. კომისარიატის მომარაგების განყოფილების მმართველთან 9—3 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთათვის სავალდებულოა საწინდრის 20.000.000 მანეთი შეტანა სახ. სას. კომისარიატის სალაროში არა უგვიანეს 29 ამა მარტისა.

ს. ს. ს. რ. სახ. სას. კომისარიატი.

**პროლეტკულტი**

რუსეთის პროლეტკულტის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული ამხ. იგნატოვი და საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმი იწვევენ სამშაბათს, 28 მარტს, საღამოს 5 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) ფართო თათბირს ამიერ-კავკასიაში პროლეტკულტების დაარსების შესახებ.

**დღის წეს-რიგი:**

1. კულტურული ამოცანები მუშათა კლასისა,
2. პროლეტკულტის ორგანიზაცია.
3. არჩევნები წარმომადგენლების ამიერ-კავკასიის პროლეტკულტის საორგანიზაციო ბიუროში.
4. თათბირზე მოწვეული არიან შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

1. რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, 2. რუსეთის პროფკავშირთა კავბიუროსი, 3. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის კავბიუროს, 4. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი, 5. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის, 6. საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური და ტფილისის კომიტეტისა, 7. საქ. პროფკავშირთა საბჭოსი, 8. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის, 9. სახალხო განათლების კომისარიატის, 10. საქ. წითელი ჯარის პოლიტიკური განყოფილების, 11. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის, 12. ამიერ კავკასიის რკინის გზათა პროფკავშირის, 13. ყველა რედაქციებისა, 14. პროფკავშირთა გამგეობების და ყველა მუშათა კლუბების.

აგრეთვე ისინიც, ვისაც უმუშავნიათ პროლეტკულტში და აინტერესებთ ეს საკითხი.

(2—1)

[illegible]